წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—38—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—8—31.

პარასკევი, მარტი 1933 წ. № 57 (3613)

თესვისათვის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიურში

აქტიურად ჩავაბათ საბჭოთა მეურნეობის მუშები. კოლმეურნეთა, ინდივიდუალურ ღარიბ საშუალო გლეხთა ფართო მასები

ბიბლიოთეკა

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ თესვას

დღეს იწყება თესვისათვის მზადყოფნის მასიური შემოწმების ხუთდღიური, რომელიც გამოცხადებულ იქნა „პრავდა"-ს მიერ. ამ ხუთდღიურს უსათუოდ დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მთელი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. რა მდგომარეობაშია სატრაქტორო პარკი და ცოცხალი გამწევი ძალა, რამდენად არის უზრუნველყოფილი სათესლე მასალით თითეული სოფელი, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა როგორია სარემონტო კამპანიის ხარისხი. აქვს თუ არა ზუსტი საწარმოო გეგმა თითეულ კოლმეურნეობას, როგორ მიდის საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობა, სასუქის გატანა მინდვრად, კოლმეურნეობათა გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან, პირადად ვის ხელშია ტრაქტორი და მუშა - საქონელი — აი რა უნდა იქნას გამორკვეული და შემოწმებული 10-დან 15 მარტამდე.

ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები მოწმობენ, რომ თესვისათვის მზადების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ჩამორჩენას. განსაკუთრებით ითქმის ეს ცოცხალი და მექანიკური გამწევი ძალის ორგანიზაციაზე. თესვისათვის მზადების ამ უაღრესად სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმეს დღემდე ყველგან არ ექცევა ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება: „ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი „ხელმძღვანელები", რომელნიც გაჰყვირიან მაღალი მოსავლიანობის მნიშვნელობაზე და არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნამდვილად, ბოლშევიკურად უზრუნველყონ ცხენის და ტრაქტორის მომზადება გაზაფხულისათვის („პრავდა").

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობების თანახმად, 5 მარტისათვის მთელს საქართველოს კოლმეურნეობებში დაჯავშნული იყო 7.769 ცენტნერი საკვები. იმავე რიცხვის ცნობების მიხედვით კოლმეურნეობების განკარგულებაში მყოფი მუშა - საქონელი კონცენტრული საკვებით უზრუნველყოფილი იყო 42.6, ხოლო უხეში საკვებით მხოლოდ 25,1 პროცენტის რაოდენობით. 5 მარტისათვის მუშა პირუტყვისათვის საკვების დაჯავშნა დაწყებულიც კი არ ქონდათ: ადიგენის, ტოლოშის, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონებს, აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს.

მუშა პირუტყვისადმი ცუდად მოვლის ალმაშფოთებელ ფაქტებს ვხვდებით ცალკე რაიონებში და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში. აგარის სამანქანო - სატრაქტორო სადგურში 20 ცხენი სრულიად უპატრონოდ იყო მიტოვებული, რის გამოც ამ ცხენების უმრავლესობამ დაკარგა მუშაობის უნარი. საჯამიასერის (ჩოხატაურის რაიონი) სასოფლო საბჭოში 168 ხარ-კამეჩიდან მოუვლელობის გამო დაუძლურდა და არ გამოდგება სამუშაოდ 50-ზე მეტი ხარ-კამეჩი. იმავე ჩოხატაურის რაიონში სოფ. ზემოხეთის კოლმეურნეობას ნორმალური კვებისა და წესიერი მოვლის უქონლობის გამო დაეხოცა მუშა - საქონელი. ბორჩალოს რაიონის ცალკე სოფლებში არის კულაკების მიერ ხარებისა და კამეჩების განადგურების შემთხვევებიც.

ყველა ეს ფაქტები მოწმობენ, რომ გამწევი ძალის, განსაკუთრებით მუშა - პირუტყვის მომზადებას თესვისათვის ადგილობრივი ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. თესვისათვის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიურის განმავლობაში ცოცხალი გამწევი ძალის მომზადებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს პირობებში ხარებს და კამეჩებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

გარდა ამისა პრესის ხუთდღიურმა ხელი უნდა შეუწყოს საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობის დაჩქარებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში და თესვის გეგმიან მოწყობას ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით.

ამავე დროს პრესის ხუთდღიური არავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლის იმ ღონისძიებათა გატარების შემოწმებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსავლიანობის გადიდება. ჩვენ გულდასმით უნდა შევამოწმოთ თუ რა მუშაობა მიმდინარეობს ადგილებზე თესლბრუნვის ნამდვილად გატარების, აგროწესების დანერგვის, წყალთა მეურნეობის, სათესლე მასალის გაწმენდა - შეწამვლის, ადრეული ხვნის და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის დარგში.

თესვისათვის მზადყოფნის შემოწმებამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, ცალკე სოფლებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოცშეჯიბრების წარმატებით გაშლას საკოლმეურნეო ბრიგადებში. **სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლილ პროგრამას კოლმეურნეობებში და საერთოდ თესვასთან დაკავშირებით უნდა წარმოადგენდეს დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მიმართვა.**

თესვისათვის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიურში რაიონულ და ძირეულმა პრესამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს. კერძოდ რაიონული გაზეთების მიმდინარე კონკურსთან დაკავშირებით, მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შეფასების დროს, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ აქტივობასაც, რომელსაც ისინი გამოიჩენენ ამ ხუთდღიურის ჩატარებაში. „ადგილობრივი პრესა არაფერს სწერს ტრაქტორების რემონტის ცუდი ხარისხის შესახებ, მაგრამ ხშირად არაფერს სწერს კონკრეტულ დამნაშავეთა შესახებ და იმაზე, თუ რისი გაკეთებაა საჭირო რემონტის გასაუმჯობესებლად" („პრავდა").

ამას ბოლო უნდა მოეღოს. რაიონულმა და ძირეულმა პრესამ ბოლშევიკურად უნდა გარდაქმნას მუშაობა გააუმჯობესოს თესვის კამპანიის მომსახურეობა. კულაკური საბოტაჟის ორგანიზატორთა მავნებლური მახინაციების გამომჟღავნება, თესვისათვის მზადების დავალებათა შეუსრულებლობის კონკრეტულ დამნაშავეთა მხილება, სამაგალითო მუშაობის ნიმუშების ჩვენება კონკრეტულ კოლმეურნეობების. საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მაგალითზე — ასეთია ამჟამად რაიონული და ძირეული პრესის ამოცანა.

ჩვენს განკარგულებაში კიდევ არის დრო იმისათვის, რომ შევავსოთ ყველა ნაკლოვანებანი თესვისათვის მზადების საქმეში. ჩვენ გვაქვს ყოველგვარი საშუალება მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ თესვის დარგში მოცემული დავალებები.

თესვისათვის მზადყოფნის მასიურად შემოწმებამ ხელი უნდა შეუწყოს გეგმიან, დარაზმულ მასიურ გასვლას მინდვრად და უზრუნველყოს ბოლშევიკური გამარჯვება საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ფრონტზე.

ტექნიკური სწავლების დღეების შესახებ

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1933 წლის 27 თებერვლის დადგენილება

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ს და ცენტრალური საკონტრო კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილება „ახალი საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების შესახებ", შრომის და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის 3 ივლისის და 5 ნოემბრის დადგენილებანი „სავალდებულო ტექნიკურ მინიმუმის შესახებ" და საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს 1933 წლის 5 თებერვლის დადგენილება, საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. დაწესდეს ტექნიკური სწავლების 5 დღე თვითეული თვის 8, 11, 17, 19 და 27 რიცხვებში ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოების რთულ მანქანებზე, აგრეგატებზე, მექანიზმებზე მომუშავე მუშების მიერ სავალდებულო ტექნიკური მინიმუმის შესათვისებლად: თბილისის რკ. გზის კვანძი, თბილისის კავშირ გაბმულობის კვანძი, ავტორთანის სახელოსნოები, ტრამვაი, ორჯონიკიძის, კალინინის, „26"-ის სახ. ქარხნები, ფაბრიკები —მაუდკამვოლის აბრეშუმის საქსოვი, ფეხსაცმელების № 1, ავეჯეულობის, მკერავი № 1 და 2, თამბაქოს № 1, 2, სტამბები—„ზარია ვოსტოკა"-ს, „კომუნისტი"-ს, სახელგამის № 1 და ახალმშენებლობანი.

2. დანარჩენ საწარმოებისა და სახელოსნოებისათვის ტექნიკური სწავლების დღეებად დაწესებულ იქნას თვითეული თვის 8, 17, 27 რიცხვები.

3. კატეგორიულად აიკრძალოს მუშების მიერ სავალდებულო ტექნიკური მინიმუმის გავლის დღეებსა და საათებში ყოველგვარი სხდომები და კრებები, რომელნიც იწვევენ მუშების მოწყვეტას მეცადინეობიდან.

4. ის პირნი, რომელნიც ჩაშლიან მუშების მიერ სავალდებულო ტექნიკური მინიმუმის გავლას, პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი, როგორც სახელმწიფო ღონისძიებათა გატარების ჩამშლელნი.

5. ამ დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება დაევალოს საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ტექპროპს ამხ. ვარდენგს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი პ. მელაძე.

იაპონია-ჩინეთის ომი ჟეხეს პროვინციაში

ჟეიხანი იაპონელების ხელშია ჩინეთის ჯარები უკან იხევენ ჩრდილოეთ ჩინეთში

მუკდენი, 8 მარტი. იაპონიის ჯარმა 6 მარტს დაიკავა ჟეიხანი, ჟეხეს პროვინციის სამხრეთ - აღმოსავლეთით. სერიოზულ ბრძოლაში იაპონიის ჯარის ნაწილებსა და სუნ ტიან-ინის ჩინურ ჯარებს შორის იაპონელებს მოუკლეს 9 და დაუჭრეს 21 ჯარისკაცი. იაპონელთა მეორე რაზმმა დაამარცხა ფინ ჩან-ხაის ქვესის მოხალისეებისაგან შემდგარი რაზმი სიავადან დასავლეთით 55 კილომეტრის მანძილზე (ჩიფინიდან სამხრეთ - აღმოსავლეთით). კოკუცუს სააგენტო იუწყება, რომ სუნ ციან-ინის ჩინურმა ნაწილებმა უკან დაიხიეს ჩახარის პროვინციის მიმართულებით (შინა მონღოლეთი). ხოლო ტინ იუ-ლინის ჯარმა გუბეიკოუს მიმართულებით (დიდი კედლის გასავალი). ვან ფუ-ინის ნაწილებმა, რომლებმაც უკან დაიხიეს პინცუანიდან, ამჟამად თავს იყრიან ძიჩინჩენში. სააგენტოს აზრით, როგორც სჩანს ჩინელებმა გადასწყვიტეს გაუმართონ იაპონიის ჯარს გადამწყვეტი ბრძოლა, რათა დაიბრუნონ ჟეხეს პროვინციის დედა-ქალაქი ჩენდე. ამიტომ ნანკინისა და ჩან სუე-ლიანის ჯარი ამჟამად თავს იყრის დიდი კედლის გასწვრივ.

ტოკიო, 8 მარტი. ბრძოლა დიდი კედლის გასავლის — გუბეიკოუს ხელში ჩაგდებისათვის 8 მარტს დილით დამთავრდა ჩინეთის ჯარის უკან დახევით ჩრდილოეთ ჩინეთში. უკან დახეულ ჩინურ ნაწილებს ყუმბარები დაუშინეს იაპონურმა აეროპლანებმა. სიაბურენგოს სააგენტოს ცნობით ჟეხეს პროვინციის სხვადასხვა რაიონებში გრძელდება მცირე შეტაკებანი იაპონურ ნაწილებსა და ჩინურ ჯარს შორის. იაპონიის ჯარის მიერ დაკავებულ რაიონებში გამოჩნდენ ვოლონტიორები (ადს).

ჩან სუე-ლიანი გადადგა

შანხაი, 8 მარტი. ჩან სუე-ლიანი გადადგა ყველა თანამდებობიდან, რომელიც მას ეკავა. განცხადებაში ჩან სუე-ლიანი აღნიშნავს, რომ იგი სთვლის თავს პასუხისმგებლად ჟეხეს პროვინციის დაკარგვისათვის და რომ მან ვერ შესძლო ხელმძღვანელობა გაეწია კამპანიისათვის და მოეპოვა ნდობა (ადს).

სასოფლო-საბჭო, რომელიც არ ზრუნავს თესვაზე ერთპიროვნულ მეურნეობებში

(სამტრედიის რაიონი)

მეოთხე ბოლშევიკური გაზაფხულის სასოფლ.-სამეურნეო კამპანიის გეგმის მთლიანად შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება ჩატარებული საგაზაფხულო თესვა ერთპიროვნული მეურნეობის მიერ. სწორედ ამიტომ საკავშირო ცაკის მე-6 სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ერთპიროვნულ მეურნეთა შორის თესვისათვის მზადების საკითხს და, ამხ. **იაკოვლევის** მოხსენების ირგვლივ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა: „გაფრთხილებულ იქნან ყველა საბჭოთა ორგანიზაციები, რომ დაუშვებელია ერთპიროვნულ მეურნეთა უგულებელყოფა თესვის გეგმის და სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების დროს, ერთპიროვნული მეურნე, რომელიც ინარჩუნებს სახელმწიფოებრივი მიწით სარგებლობის უფლებას, **ვალდებულია** შეასრულოს ადგილობრივი საბჭოს მიერ მისთვის დაწესებული თესვის და სახელმწიფოსათვის პროდუქციის ვალდებულებათა გეგმა".

ერთპიროვნულ მეურნეთათვის თესვის მტკიცე გეგმა—განრიგის თავის დროზე მიცემა, მათ სარგებლობაში მყოფი სათესი ფართობების აღრიცხვა და იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა დათესოს მეურნემ ამა, თუ იმ ნაკვეთზე, დაკისრებული აქვთ რაიაღმასკომების მიწათმოქმედების განყოფილებებს და სასოფლო-საბჭოებს. ერთპიროვნულ მეურნეთათვის მტკიცე გეგმა—განრიგის ჩაბარება სასოფლო-საბჭოებს უნდა დაემთავრებინათ ჯერ კიდევ 10 თებერვლამდე, მაგრამ მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში ეს მუშაობა პირველი მარტისათვის ჯერ კიდევ არ იყო სათანადოთ გაშლილი, ხოლო იქ, სადაც მუშაობა თითქოს დაამთავრეს,—მას წინ არ უძღოდა საჭირო ახსნა-განმარტებები ხელისუფლების ღონისძიებათა ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთათვის ფართოდ გაცნობის მიზნით.

მაგალითისათვის ჩვენ აქ დავასახელებთ **დიდი-ჯიხაიშის** (სამტრედიის რაიონი) სასოფლო საბჭოს. აღნიშნული სასოფლო საბჭო აერთიანებს 1637 კომლს. ამ სოფელში ჩამოყალიბებულია ოთხი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 611 კომლი, ხოლო დანარჩენი, მცირე გამონაკლისის გარდა არიან ერთპიროვნული მეურნეები.

დიდი-ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს, რაიონის ფარგლებში უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. აქ მარცვლოვანი კულტურების თესვის გარდა, საკმაოდ განვითარებულია მებოსტნეობაც, რომელიც ადრიან დამუშავებას მოითხოვს. ასეთ პირობებში სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები მოვალენი იყვნენ თავის დროზე გაეშალათ მუშაობა ერთპიროვნულ მეურნეთათვის მტკიცე გეგმა—განრიგის მისაცემათ და მათ განკარგულებაში მყოფი სათესი ფართობის აღრიცხვისათვის.

მიუხედავათ ამისა, პირველი მარტისათვის საბჭოს მხოლოდ ერთ უბანში ჰქონდა დამთავრებული სათესი ფართობის აღრიცხვა, ხოლო რაიმიწგანიდან გამოგზავნილი მტკიცე გეგმა—განრიგის ფურცლები უქმად ეწყო მაგიდის უჯრებში. ერთპიროვნულ მეურნეთა სათესი მიწების აღრიცხვა საბჭოს მიერ უბნებში დავალებული აქვს უბნის რწმუნებულებს. ისინი არკვევენ ფართობის რაოდენობას, გადააქვთ უბრალო ქაღალდზე და მტკიცე გეგმა—განრიგის ჩაბარებამდე წინასწარ აწერინებენ ხელს გლეხობას.

ერთპიროვნულ მეურნეთა მიწების აღრიცხვის დაგვიანებას ჯიხაიშის სოფსაბჭოს თავმჯდომარე ხსნის კოლმეურნეობათა მიწათმოწყობის დაუმთავრებლობით, რაც ვერ ჩაითვლება გასამართლებელ საბუთად. თებერვლის ბოლო რიცხვებში შესდგა აღნიშნული რწმუნებულების თათბირი, რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთი ერთპიროვნული მეურნე კულაკური პროვოკაციის გავლენით უარს აცხადებს ბოსტნეულის თესვაზე. ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ჯერ-ჯერობით სასოფლო საბჭოს არავითარი ზომები არ მიუღია.

ჩვენ საჭიროდ მოგვაჩნია მოვაგონოთ დიდი ჯიხაიშის საბჭოს მესვეურებს საკავშირო ცაკის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „იმ ერთპიროვნულ მეურნეთა მიმართ, რომელნიც ჰყვნენ სპეკულიაციას და დაჟინებით უარს ამბობენ დაამუშაონ და დასთესონ მათ მიერ დაკავებული მიწა. როგორც ამას ჰქონდა ადგილი ჩრდილოეთ-კავკასიის ზოგიერთ რაიონში, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიყენონ მკაცრი ზომები ისეთ სამოსახლო მიწის ჩამორთმევამდე, ხოლო ცალკე შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ზომა, უნდა მიმართონ მათ გადასახლებას მხარის ფარგლებიდან ნაკლებად მოსავლიან ადგილებში" (საკავშირო ცაკის სესიის დადგენილებიდან).

დიდ-ჯიხაიშში ჯერ კიდევ ძალზე სუსტად სწარმოებს ერთპიროვნულ მეურნეთა შორის მტკიცე გეგმა—განრიგის მიცემის უაღრესად დიდი მნიშვნელობის პოპულარიზაცია. ახსნა-განმარტებით მუშაობას ერთპიროვნულ მეურნეთა შორის კლასობრივი მტრის გამხრწნელი მუშაობის ძირშივე აღკვეთის მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს ფართოდ უნდა განუმარტოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის უაღრესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა. საგაზაფხულო თესვისათვის მზადყოფნის, „პრავდა"-ს მიერ გამოცხადებულ თესვისათვის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიურში აქტიურად ჩაბმა თვითეული სასოფლო საბჭოს გადაუდებელი ამოცანაა.

დიდი-ჯიხაიშის სასოფლო საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა დაამთავროს ერთპიროვნულ მეურნეთათვის მტკიცე გეგმა-განრიგის მიცემა. გაშალოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ერთპიროვნულ მეურნეთა შორის და ძირშივე აღკვეთოს კლასობრივი მტრების ყოველგვარი ცდა—ჩაშალონ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმების შესრულება.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

თვალის ახვევის ალმაშფოთებელი ფაქტები კადრების მომზადების საქმეში

საქ. მიწსახკომის ცნობით, 7 მარტისათვის მთელს საქართველოში მასიურ კვალიფიკაციის კადრების მომზადების გეგმა შესრულებული იყო 103,3 პროცენტით. 5570 კაცის ნაცვლად კურსებში ჩაბმულია 5746 კაცი. (ბრიგადირები, ბრიგადირი — ტრაქტორისტები, გამსვლელი მექანიკოსები, მოანგარიშეები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და სხვ.).

საქ. მიწსახკომის კადრების სექტორმა 32 რაიონში შეამოწმა მასიურ კვალიფიკაციის მომზადების და გადამზადების მიმდინარეობის ფაქტიური მდგომარეობა. ამ შემოწმებიდან გამოირკვა, რომ მთელი რიგი რაიონები, განსაკუთრებით სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, კადრების მომზადების შესახებ გაბერილი ცნობების მოწოდებით თვალებს უხვევდნენ ცენტრალურ ორგანიზაციებს.

აი კონკრეტული ფაქტები:

საქ. მიწსახკომის კადრების სექტორის ცნობით გურჯაანის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა არ თუ შეასრულა გეგმით მიცემული დავალება. არამედ. პირიქით. მთლიანად დამალა მოწვეული კურსები. აღნიშნულ სამ. - სატ. სადგურს გეგმით გათვალისწინებული კურსები, (ბრიგადირ - ტრაქტორისტებისათვის და გამსვლელ მექანიკოსებისათვის) სრულიად არ გაუხსნია, — იმ მიზეზით, რომ მათ. ტრაქტორისტებს და ბრიგადირებს აღარ სჭირდებათ (!) მომზადება.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ბორჩალოს და ლანჩხუთის სამან. - სატრაქტორო სადგურებში. საქ. ტრაქტორცენტრმა მიწსახკომს მისცა ცნობები კადრების მომზადების შესახებ, ამ ცნობის მიხედვით. წნორის სამანქ. - სატრაქტორო სადგურს თითქოს მოემზადებინა 45 კაცი, ფაქტიურად კი სადგურს მოუმზადებია მხოლოდ — 10.

ყველა ამის შედეგათ საქ. ტრაქტორცენტრის მიერ გეგმის შესრულების პროცენტმა საგრძნობლად დაიწია. შემოწმებამ გამოარკვია, რომ სამ. - სატრაქტორო სადგურებში მომზადებულია სანგარიშო დარგის არა 138 მუშაკი, როგორც ეს საქ. ტრაქტორცენტრის ცნობაში იყო აღნიშნული, — არამედ 82 კაცი.

ამრიგად საქ. ტრაქტორცენტრის ხაზით მასიური კვალიფიკაციის კადრების გეგმა 7 მარტისათვის შესრულებული იყო არა 103,2 პროცენტით, არამედ—91 პროცენტით.

მასიურ კვალიფიკაციის კურსების მომზადების და გადამზადების გეგმის შესრულება აშკარად არადამაკმაყოფილებლად სრულდება **მინდვრის და ტყის მავნებლებთან მებრძოლი საზოგადოების საქ. ტრესტის** ხაზით, რომლებმაც 7 მარტისათვის გეგმა — 48.8 პროც. შეასრულეს: **საქწყალთა მეურნეობამ** გეგმა 44.2 პროც. შეასრულა; **კარაქტრესტმა** — 41,3 პროც. და **ლიმონტრესტმა** — 50 პროც.

მასიურ კვალიფიკაციის კადრების მომზადების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა: **საქ. მიწსახკომმა, „საქ. ჩაი"-მ. მეღორეობის ტრესტმა. მეცხენეობის ტრესტმა. „საქ. აბრეშუმმა". „საქ. რამი"-მ**

მასიურ კვალიფიკაციის კადრების მომზადების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას სასტიკად უნდა დავარტყათ. ცნობების მოწოდების საქმეში გამოაშკარავებულ თვალის ახვევისათვის დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

ვ. მ.

ევროპაში იზრდება ომის საფრთხე

საფრანგეთში შეშფოთებული არიან საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებით

პონ ბონკური ომის საშიშროების შესახებ

პარიზი, 8 მარტი. „იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს:

— ოფიციალური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მაკდონალდის და საიმონის [illegible] დალადიესთან, რამაც უნდა მოამზადოს [illegible] მოლაპარაკების [illegible]. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მაკდონალდი გაუგზავნის მიწვევას ჰიტლერს და მუსოლინის [illegible] ეს მიღწევა.

გუშინ ბრიანის გარდაცვალების წლისთავზე, პოლ ბონკურმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ შეიქმნა ომის საშიშროება. ამასთან საფრანგეთის თვალსაზრისი მან ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

„საფრანგეთმა საკმაოდ დაამტკიცა, რომ მას სურს მშვიდობიანობა იმისათვის, რომ ექნეს შესაძლებლობა გამოამჟღავნოს თავისი მტკიცე ნებისყოფა — არასოდეს არ დაემორჩილოს ძალადობას. დგება მძიმე დრო. შავი ღრუბლები ფარავენ ჰორიზონტს. განიარაღების პოლიტიკა მოითხოვს, რომ არავინ არ განაახლოს შეიარაღება, თუ ვინმე დაიწყებს ხელახლა შეიარაღებას. მაშინ ისინი, რომლებთანაც შეთანხმებითაც ჩვენ, მშვიდობიანობისათვის ხელის შეწყობის მიზნით უარი ვთქვით უშიშროების ზოგიერთ გარანტიებზე, რაც გვეკუთვნოდა ჩვენ ხელშეკრულებათა ძალით, უნდა იყვნენ ჩვენს მხარეზე".

პოლ-ბონკური ფიქრობს, რომ მის პირდაპირ მოწოდებას თანამშრომლობისაკენ ხელშეკრულებათა დასაცავად გაიგონებენ ინგლისსა და ამერიკაში. და მართლაც პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ძლიერდება ინგლისის და საფრანგეთის დაახლოება.

ჰიტლერის პროგრამა დიდ შეშფოთებას იწვევს ლონდონის საქმიან წრეებში. მათ ეშინიათ, რომ გერმანიის შინაგანი მღელვარება ხელს შეუშლის ინგლისის საგრძნობი თანხების განთავისუფლებას, რომლებიც გაყინულია გერმანიაში. მეორეს მხრივ ინგლისში ეშინიათ, რომ ჰიტლერის გერმანია აღადგენს თავის ყოფილ სამხედრო ძლიერებას, რასაც შეუძლია შექმნას ისეთი მდგომარეობა, როგორიც იყო 1914 წელს. ეს მოსაზრებები აძლიერებენ ფრანგების იმედებს ინგლისთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე.

საფრანგეთის ნაციონალურ წრეებში ძალზე შიშობენ, რომ მაკდონალდის შემარიგებელი ცდები, ბოლოს და ბოლოს, აიძულებენ მას მიაღწიოს შეთანხმებას საფრანგეთსა და გერმანიას შორის რათაც არ უნდა დაჯდეს. ამ შიშს თავისი გამოხატულება ჰპოვა პერტინაქსის წერილში, რომელიც დღეს მოთავსებულია „ეკო დე პარი"-ში.

„საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ, თუ მაკდონალდი შეეცდება შეარიგოს საფრანგეთი და გერმანია, ამით იგი მისცემს ჰიტლერს საბაბს უფრო დაჟინებით ჩამოაყალიბოს თავისი ტერიტორიალური მოთხოვნები, სახელდობრ: დანციგის კორიდორის და ზემო სილეზიის დაბრუნება, ავსტრიის შეერთება გერმანიასთან და სხვ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გერმანიის ასეთ მოთხოვნებს ჩქარა მოჰყვება მოთხოვნები იტალიის მხრივ. ამ ძნელ მდგომარეობაში საფრანგეთმა მტკიცედ უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

1) არ მიიღოს მონაწილეობა არც ერთ მოლაპარაკებაში რომელშიაც არ იქნებიან ჩაბმული პოლონეთი და მცირე ანტანტა

2) არ დაუშვას საფრანგეთის არმიის და ფლოტის შედარებითი ძლიერების შემცირება.

3) არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდეს გერმანიის შეიარაღების თანასწორობაზე მის მეზობლებთან.

ნაკლებად შესაძლებელია, რომ ლონდონსა და პარიზს შორის მოხდეს შეთანხმება პერტინაქსის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე. მაინც იქმნება შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში დიდი იმედი აქვთ საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთ — გაუმჯობესებების და აგრეთვე იმას, რომ ამ თანამშრომლობას მოესწრობა ჩრდილოეთ ამერიკაც.

„ტან"-ის სპეციალური კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ ჰიტლერელთა გამარჯვებას იტალიაში აფასებენ, როგორც საერთაშორისო ფაშიზმის ტრიუმფს.

კორესპონდენტი სწერს:

„გერმანიის ახლანდელი მმართველი პარტიების გაძლიერებაში იტალია ხედავს საშუალებას იმისთვის რომ სერიოზულად შეირყეს საფრანგეთის პოლიტიკური ჰეგემონია ევროპაში. უნდა გვეშინოდეს, რომ საფრანგეთის ჰეგემონიის შერყევის ამ ცდამ ხელი არ შეუწყოს გერმანიის საშუალო ჰეგემონიის დამყარებას, ე. ი. არ წააქეზოს იტალია გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომლის გამო შემდეგში თვითონ ინანებს რადგან მისი შედეგები გადაჭრით საზიანო იქნება იტალიის ნახევარ კუნძულის ინტერესებისათვის".

„ლიბერტე" — ათავსებს ამას წერილს სათაურით: „ვიომებთ თუ არა ჩვენ მაისში?" სწერს.

„ამას წინად „ეკო დე პარი"-ში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ომი ჯერ კიდევ არ არის გარდაუვალი, თავის მხრით ჩვენ უნდა განვაცხადოთ რომ ახლა ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს ომის წინ. საფრანგეთის და მცირე ანტანტაში შემავალი მისი მოკავშირეების კარზე [illegible] რკინისებური რგალი. დაირღვეულია ხელშეკრულებანი, ანგარიშს არ უწევენ ერთა ლიგას, რომელიც ნაადრევად დაუძლურებულ სულს ლაფავს, ყოველი [illegible] შეიარაღებული და განიარაღებული ქვეყნები გამალებით იარაღდებიან იტალიის მონაწილეობით სწორედ დღეს საბერძნეთში სამხედრო ჯანყის [illegible] საფრანგეთისადმი მეგობრულად განწყობილი ვენიზელოსის მთავრობა. 1914 წლის ომმა გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს. ევროპული ომის [illegible] მეგობრული ურთიერთობის [illegible] — საბერძნეთი შეიძლება გახდეს ბაზად იმ წყალქვეშა ნავების მოქმედებისა [illegible] რომელთა მიზანი იქნება მოწყვიტოს [illegible] ისათვის გზის გადაჭრა".

ჟაკ სადული.

საფრანგეთი ემუქრება ჰიტლერის გერმანიას

პარიზი, 8 მარტი. „ერ ნუველ"-ი მოწინავე წერილში სწერს:

„ჰიტლერი და მისი მეგობრები ნუ ფიქრობენ, რომ მათი ხელისუფლების სათავეში ჩადგომის გამო საფრანგეთი წავა უფრო მეტ დათმობებზე და ხელს შეუწყობს მათ „შეურიგებელ აგრარულ ნაციონალიზმს". ვეიმარის კონსტიტუცია—ეს მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯია და ეს თითქმის ჭეშმარიტებაა. მაგრამ დეე გაიგონ რაინის მეორე მხარეზე. რომ ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით იმაზე. რომ იგივე ბედი ეწვიოს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ევროპის სტატუტს. ჰიტლერის გერმანიის ყოველგვარი ცდების მიუხედავად. იგი ვერ შესძლებს მათ დახევას ისე, როგორც ეს მან მოიმოქმედა თავისი რესპუბლიკური პარტიის მიმართ.

(ადს).

გამომჟღავნებული ვან-დერ—გორგულოვი

დოკუმენტი „მანჩესტერ გარდიან" დან.

(ტელეფონით „პრავდა"-ს ლონდონელი კორესპონდენტისაგან).

ლონდონი, 8 მარტი. „მანჩესტერ გარდიან"-ი ათავსებს ვენიდან მიღებულ შემდეგ ინფორმაციას, რომლის შინაარსი მთლიანად მოგვყავს:

„კაცი, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა რეიხსტაგს".

შესანიშნავი ცნობა.

კავშირი ნაციონალ სოციალისტებთან?

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ვენა, 6 მარტი. გუშინდელი „არბეიტერ ცაიტუნგ"-ი აქვეყნებს შემდეგ ცნობას მეისენიდან (საქსონია):

„ოფიციალური წრეებიდან ჩვენ გავიგეთ შემდეგი ფაქტები: სოციალ-დემოკრატ დეპუტატებმა დღეს საქსონიის მინისტრ რიხტერს აცნობეს, რომ ვან-დერ—ლიუბემ—იმ კაცმა, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა რეიხსტაგს. სარეგისტრაციო წიგნების თანახმად, 1932 წლის 31 მაისის ღამე გაატარა ზერნევიცის თემში (მეისენის რაიონი). ხელმძღვანელ ნაციონალ-სოციალისტს ბროხვიცში, დროებითი მუნიციპალურ მრჩეველს დოქტორ ზომმერს (ნაციონალ-სოციალისტს) და წარჩინებულ მოხელეს შაუმანს მან (ვან-დერ ლიუბემ) განუცხადა, რომ ის ნაციონალ-სოციალისტია.

ვან-დერ-ლიუბე ორ დღეს სტუმრად იყო ნაციონალ სოციალისტ მრჩეველ ზომერთან, ხოლო ამის შემდეგ გაქრა. მან აცნობა ზომერს, რომ ოქტომბერს (1932 წ. გერმანიაში იფეთქებს სამოქალაქო ომი, მაგრამ რომ ნაციონალ-სოციალისტური პარტია კარგადაა მომზადებული ყოველგვარი შემთხვევისათვის. ზომერმა მისი ნათქვამი გადასცა ბროხვიცის ქალაქის თავს და ამ უკანასკნელის მდივანს. მეისენის რაიონულმა ხელისუფლებამ დაიბარა იგი (დოქტორ ზომერი) მეისენში. სადაც მან ეს ფაქტები აუწყა მთავრობის მრჩეველს ბატ. დოქტორ გარტელს.

საქსონიის მთავრობა უკვე გაცნობილია ამ ფაქტებს, რომელთაც ექნებათ დიდი პოლიტიკური შედეგები და საქსონიის მთავრობა მზადაა დაუყოვნებლივ შეუდგეს საქმის ოფიციალურ კვლევა-ძიებას. გერმანიის მთავრობას და რეიხსტაგის წევრებს ეს მამხილებელი ცნობები ეუწყა ტელეგრაფით. დრეზდენიდან მეისენში გაეგზავნა მაძებრები".

ამ მამხილებელ მასალას. რომლის თანახმად ცეცხლწამკიდებელი ვან-დერ—ლიუბე ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას ეკუთვნის. ლონდონში აფასებენ როგორც იმ ახალ გადამწყვეტ დამამტკიცებელ საბუთს, რომ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდება მოაწყვეს ნაციონალ-სოციალისტებმა"

აღვკვეთოთ სახელშეკრულებო კამპანიის ოპორტუნისტული შეუფასებლობა

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის ხელშეკრულებების დადების კამპანია აშკარად არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საქ. კ. პ. (ბ) ცკას ბიურო თავის 7 მარტის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ: **„ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი მასიურ-პოლიტიკური მუშაობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის ხელშეკრულებათა დადების საკითხების გარშემო, ხელშეკრულებათა მნიშვნელობის და შინაარსი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ადგილებზე და მთელ რიგ სამანქანო სატრაქტორო სადგურებში ჯერ კიდევ არ შესდგომიან პრაქტიკული მუშაობას ხელშეკრულებათა დადებისათვის".**

საქ. კ. პ. (ბ) ცკას ბიუროს ეს შეფასება მთლიანად შეეხება აგრეთვე თელავის რაიონულ ორგანიზაციას, განსაკუთრებით ახლად დაარსებულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურს.

საქ. მიწსახკომში მიღებული ცნობით. **თელავის რაიონში სახელშეკრულებო კამპანიის ჩატარებას პრაქტიკულად ჯერ არ შესდგომიან**, თელავის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ახლადაა დაარსებული—საშუალება ჰქონდა დროზე მოეკიდა ხელი კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დამუშავება-გაფორმებისათვის. 7 მარტისათვის. ეს საქმე არ იყო დაწყებული.

4 მარტს თელავში მოწვეული იყო დამკვრელ კოლმეურნეთა შეკრება, სადაც თელავის სამ.-სატ. სადგურის დირექტორი—ამხ. **ჯაფარიძე** სიტყვაში „სხვათა შორის" შეეხო კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადების საკითხს.

ამ დღეებში თელავის რაიმიწგანმა გაზაფხულის თესვის საკითხებზე მოიწვია კოლმეურნეთა თავმჯდომარეების და აგრონომების თათბირი, სადაც განიხილეს საწარმოო გეგმების შედგენის მიმდინარეობის ფაქტიური მდგომარეობა. ამ თათბირზეც სამ.-სატ. სადგურისა და კოლმეურნეობებთან სახელშეკრულებო კამპანიის ამოცანებზე და მათ პრაქტიკული განხორციელებაზე ძალიან ცოტა ითქვა.

რას უნდა მიეწეროს ყველაფერი ეს, თუ არა სახელშეკრულებო კამპანიის სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას.

იმავე საქ. მიწსახკომში მიღებული ცნობით, სახელშეკრულებო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, ადგილებზე მასიურ პოლიტიკური მუშაობის გაშლის მხრივ, სხვა რაიონებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სიღნაღის რაიონში.

1 მარტს სიღნაღის რაიკომის ბიუროს სხდომაზე შემუშავებული იქნა სამ.-სატ. სადგურსა და კოლმეურნეობებს შორის სახელშეკრულებო კამპანიის ჩატარების კონკრეტული გეგმა. 5 მარტს სიღნაღში მოწვეულ რაიონის აქტივის გაფართოებულ სხდომაზე პრაქტიკულად დამუშავდა ეს საკითხი ამავე თათბირზე გამოიყო 30 პასუხისმგებელი მუშაკი, რომელნიც, ადგილებზე მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლასთან ერთად, დაეხმარებიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და კოლმეურნეობებს ხელშეკრულების გაფორმებაშიც.

საჭიროა ყოველმხრივ დავაჩქაროთ ხელშეკრულებების დადება კოლმეურნეობებთან —ხელშეკრულების კამპანია არ უნდა ტარდებოდეს მასების გარეშე. ხელშეკრულებას უნდა იცნობდეს კოლმეურნეობის თითეული წევრი; საკითხი წინასწარ საფუძვლიანად უნდა დამუშავდეს კოლმეურნეობათა პარტიულ-კომკავშირულ უჯრედებში და კოლმეურნეთა აქტივის კრებებზე, ხოლო ამის შემდეგ—კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

სახელშეკრულებო კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში უდიდესი როლი ენიჭებათ სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს, რომლებმაც საქ. მიწსახკომის პოლიტსექტორის მიერ უკვე მიიღეს გარკვეული დავალებები.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის ხელშეკრულების დადება უნდა დამთავრდეს 20 მარტისათვის—ეს ვადა რაიონულ ორგანიზაციებმა მკაცრად უნდა დაიცვან.

ებმებიან რაიონული გაზეთების კონკურსში

სამტრედია, 9 მარტი. რაიონული გაზეთი „სოციალისტური შეტევა" 2 მარტიდან ჩაება ცენტრალური გაზეთებისა და საქ. მიწსახკომის მიერ გამოცხადებულ სარაიონო გაზეთების კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავს გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

რაიონული გაზეთის და რაიკომის კულტპროპგანყოფილების ხელმძღვანელობით, 28 თებერვალს ჩატარდა მუშგლეხკორთა რაიონული შეკრება, სადაც დამუშავდა თესვის საკითხები 3 მარტს სამტრედიის რაიკომის ბიურომ გამოიტანა გადაწყვეტილება რაიონული და ძირეული პრესის მონაწილეობის შესახებ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში. (ადს).

ჭიათურა, 9 მარტი. ჭიათურის რაიონული გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი" ჩაება საგაზაფხულო თესვის უკეთ ჩატარებისათვის გამოცხადებულ სარაიონო გაზეთების კონკურსში. ამავე მიზნით „ჭიათურის მაღაროელმა" სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სტალინისის რაიონული გაზეთი.

ფანჩულიძე.

დამკვრელ კოლმეურნეთა სარაიონო შეკრება

გორი, 9 მარტი. დღეს გორის მუშათა კლუბში გაიხსნა დამკვრელ კოლმეურნეთა სარაიონო შეკრება, რომელსაც დაესწრო 150-მდე დამკვრელი კოლმეურნე.

შეკრებაზე დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო პირველი ყრილობის შედეგებზე და საგაზაფხულო თესვის კამპანიის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა გორის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი — **ამხ. მელქუევი.**

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის უშუალო მონაწილე, **სოფ. კარალეთის კოლმეურნეობის საუკეთესო დამკვრელი არტემ ხარიბეგაშვილი.**

ლალუაშვილი.

ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებულია 91 პროცენტით

(საქ. ტრაქტორცენტრის ცნობებით)

საქ. ტრაქტორცენტრის სისტემის ხაზით, **5 მარტისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ტრაქტორების შეკეთება**. იმავე რიცხვისათვის არ იყო დამთავრებული აგრეთვე ფარცხების, სათესების და გუთნების შეკეთება.

5 მარტის ცნობების მიხედვით სამ.-სატ. სადგურების სახელოსნოებს შეკეთებული ჰქონდათ 438 ტრაქტორი, ანუ გეგმის 91,6 პროცენტი. აქედან გამოსულია: კაპიტალური შეკეთებიდან—166 ტრაქტორი (86,5 პროც.); საშუალო—218, გეგმის 96,5 პროც., ხოლო მიმდინარედან 54 ტ., ანუ გეგმის 90 პროც.

ტრაქტორების შეკეთება დაამთავრეს **აგარის, ბათომის, ბორჩალოს, გურჯაანის, გორის, ზუგდიდის, ყარაიას, კასპის, ლაგოდეხის, მუხრანის, ოზურგეთის, სამტრედიის და სენაკის** სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა.

მიუხედავათ იმისა, რომ შეკეთების დამთავრების ვადები ამოიწურა ტრაქტორების შეკეთების საქმეში თვითმდინარეობა გამოიჩინა **წალენჯიხის** სამ.-სატრ. სადგურმა, რომელმაც გეგმა 66,7 პროც. შეასრულა, წნორის—88,2 პროც.' ხონის—85,7 პროც.; ხობის — 78,6 პროც.; მარტვილის —83,3 პროც.; გალის—74,1 პროც.; ხოლო ლანჩხუთის—80,8 პროც.

იმავე 5 მარტისთვის სამ.-სატ. სადგ. ხელოსნოებს შეკეთებული ჰქონდათ 459 ფარცხი. გეგმა შესრულებულია 88,5 პრ. გუთნები შეკეთებულია 590 ცალი (გეგმის 88,4 პროც.).

კარლ ლიბკნეხტის სახლი გადაეცა გერმანიის პოლიციას

ბერლინი, 8 მარტი. პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ, საგანგებო დეკრეტის საფუძველზე, კარლ ლიბკნეხტის სახლი, სადაც მოთავსებული იყო გერმანიის კომპარტიის ცეკა და „როტე-ფანე"-ს რედაქცია, მთელი ინვენტარით გადაეცემა ბერლინის პოლიციას. ამ სახლში უკვე გადადის ბერლინის პოლიციის პოლიტიკური განყოფილება, კერძოდ, პოლიციის ახლად შექმნილი განყოფილება ბოლშევიზმთან საბრძოლველად. (ადს).

„როტე ფანე" აკრძალულია 25 აგვისტომდე

ბერლინი, 8 მარტი. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა 25 აგვისტომდე გააგრძელა კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე-ფანე"-ს აკრძალვა (ადს).

მე-2 ინტერნაციონალის სამდივნო არ ჩქარობს

ბერლინი, 8 მარტი. მეორე ინტერნაციონალის სამდივნოს ოფიციალური ორგანო „ინტერნაციონალე ინფორმაციონ"-ი ბეჭდავს მე-2 ინტერნაციონალის სამდივნოს განცხადებას კომინტერნის აღმასკომის მიერ მთლიანი ფრონტის საკითხზე გამოშვებულ მოწოდების შესახებ. ამ განცხადებაში სამდივნო მოითხოვს მე-2 ინტერნაციონალში შემავალ პარტიებისაგან „შეძლებისდაგვარად შეიკავონ თავი ასეთი კომუნისტური წინადადებების განხილვისაგან" ცალკე ქვეყნებში, მანამ, სანამ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომი არ გამოარკვევს თავის დამოკიდებულებას აღნიშნულ მოწოდებისადმი. (ადს).

მანდატების განაწილება პრუსიის ლანდტაგში

ბერლინი, 8 მარტი. პრუსიის ლანდტაგში მანდატები განაწილებულია შემდეგნაირად: კომუნისტებმა ლანდტაგის არჩევნებში 1932 წლის 24 აპრილს მიიღეს 57 მანდატი, ლანდტაგის არჩევნებში 1933 წლის 5 მარტს—63 მანდატი; ნაციონალ-სოციალისტებმა შესაფერისად მიიღეს 162 და 207 მანდატი; სოციალდემოკრატებმა—93 და 79, სახელმწიფო პარტიამ—2 და 3, ცენტრის პარტიამ—67 და 68, შავ-თეთრ-წითელ ბლოკმა (ნაციონალისტები)—31 და 42, სახალხო პარტიამ—7 და 5, გლეხურ სოციალისტებმა—2 და 4 (ადს).

კომუნისტების მკვლელობა „გაქცევის ცდის საბაბით"

(„პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტისაგან)

ბერლინი. 8 მარტი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიტიკურ პოლიციასთან შექმნა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები, რომელთა ძირითადი ამოცანაა — ბრძოლა კომპარტიის წინააღმდეგ.

მილშტატში, ჰამბურგის მახლობლად და სოფელ კვიკბორნში მოჰკლეს ორი კომუნისტი. ორივე შემთხვევაში პრესა მიზეზათ ასახელებს: „გაქცევის ცდის საბაბით". (ადს).

სისხლის ღვრა ჰამბურგში

ორ საათიანი ბრძოლა მუშებსა და მოერიშეთა შორის

(„პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტისაგან)

ბერლინი. 8 მარტი. გუშინ ჰამბურგში მოხდა შეტაკება ერთის მხრივ მოერიშეთა და პოლიციის ხოლო მეორეს მხრივ მუშებს შორის. ჰამბურგ - ალტონის საზღვარზე მოერიშეების რაზმი და პოლიციელები თავს დაესხნენ მუშებს. მუშებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელებს. ისინი ორი საათის განმავლობაში იცავდენ თავს სახლებში ჩასაფრებულნი. გამოწვეულ იქნა მოერიშეთა რაზმები ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან. მოჰკლეს 2 კომუნისტი, მძიმედ დაიჭრა რვა, (ადს).

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ხინჩუკის განცხადება ფონ-ნეირატს

ბერლინი, 8 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში ამხ. ხინჩუკმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფონ-ნეირატს განუცხადა ენერგიული პროტესტი გერმანიის რეიხსკანცლერის მიერ 2 მარტს სპორტ-პალასში წარმოთქმულ სიტყვის იმ ნაწილის გამო. რომელიც შეიცავს გალაშქრებას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ (ადს).

ძლიერი ქარბუქი ბაქოში

ბაქო, 9 მარტი. რვა მარტს ბაქოში ამოვარდა ძლიერი თოვლიანი ქარბუქი, რომელმაც შეაფერხა აზნავთის საწარმოების ნორმალური მუშაობა. ელექტრო-ხაზების დიდი რაოდენობით დაწყვეტამ გამოიწვია ჭაბურღილების მუშაობის ხანგრძლივად შეჩერება. ღამით, 9 მარტს, ქარბუქმა წააქცია ორმოცამდე კოშკი. წინასწარი ცნობებით გეგმის შესრულებას დააკლდა 8 ათასი ტონა ნავთი. თოვის გაგრძელების მიუხედავად, აზნავთმა მიიღო სასწრაფო ზომები ელექტროხაზის გასასწორებლად და საწარმოების ნორმალური მუშაობის აღსადგენად. ნავთის საწარმოების მუშებმა გააძლიერეს ნავთისათვის ბრძოლის ენერგია.

გუშინ 9 მარტს ბაქოს რკინის გზის ხაზზე მთელი დღე გრძელდებოდა ძლიერი ქარი. სამგზავრო მატარებლები დიდი დაგვიანებით მოდიან. ექსპრესი № 2 მოდის 2 საათის და 50 წუთის დაგვიანებით, სამგზავრო მატარებელი № 43, სამი საათის და 42 წუთის დაგვიანებით. სწრაფი მატარებელი № 20 ორი საათის და 25 წუთის დაგვიანებით (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავისათვის

მარქსის მოძღვრების ტრიუმფი*)

II

ხუთწლედის შედეგები უდაოდ ადასტურებს, რომ მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობის დიალექტიური მთლიანობის შესახებ, საზოგადოების რევოლიუციური გარდაქმნის ეპოქაში მათი ურთიერთ დამოკიდებულების განსაკუთრებული ძალის შესახებ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი თავი. მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობათა გამოყენებით, ჩვენ მივაღწიეთ საწარმოო ძალთა განვითარებას იმ დონეზე, რაც საჭიროა მთელი მეურნეობის, საზოგადოებრივი შრომის ყველა დარგების რადიკალური რეკონსტრუქციისათვის. ჩვენ შევქმენით სოციალიზმის მატერიალური ბაზა — მძიმე ინდუსტრია. ჩვენ დავეუფლეთ წარმოების ნამდვილ მოწინავე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისის ასპექტების გაშლებს — მანქანების წარმოებას, მათ შორის ყველაზე უფრო რთულ და გაუმჯობესებული ტიპის მანქანების წარმოებას. საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების შეერთებამ მძიმე ინდუსტრიის მძლავრ ბაზასთან საშუალება მოგვცა უახლოეს ვადაში შეგვექმნა ისეთი საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც საჭიროა მიწადმოქმედების საბოლოო გარდაქმნისათვის ინდუსტრიალურ საფუძვლებზე. ჩვენ დავეუფლეთ ყველა წინაპირობებს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საბოლოოდ დავამთავროთ სოციალისტური საზოგადოების შენობა საკუთარ ადეკვატურ საფუძველზე.

ხუთწლედმა, რომელმაც ფაქტიურად ახლად შექმნა მოწინავე მანქანათმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში და გადაჭრა ამხ. სტალინის ლოზუნგი — „არ არის ისეთი მანქანა, რომლის აგება არ შეგვეძლოს ჩვენს ქვეყანაში“ მისცა პროლეტარიატს შრომის ყველა დარგების თანამიმდევრობითი მექანიზაციისათვის საჭირო ბაზა.

კაპიტალიზმმა დიდად შეუწყო ხელი ბუნების კანონების შესწავლას და მის დამორჩილებას ადამიანთა საზოგადოების ძალთათვის. არ არის მიწის წიაღის ისეთი საუნჯე, ბუნების ქიმიური და ფიზიკური პროცესების ისეთი დიდი საიდუმლოება, რომლის დაუფლებასაც არ ცდილობდეს კაპიტალიზმი მოგების უდიდესი წყურვილით. მაგრამ კაპიტალიზმის იგივე შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც ამძრავებენ და აჩქარებენ ბრძოლას ბუნების ძალთა დაუფლებისათვის, რკინის სალტეებით ზღუდავენ თანამედროვეობის მძლავრ ტექნიკას. კაპიტალიზმის ჩარჩოებში სულ უფრო და უფრო მცირდება ბუნების ძალთა მეცნიერული შესწავლის მიღწევათა სასარგებლო გამოყენების შესაძლებლობანი. იმპერიალიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად დაჩაგრულ უდიდეს ტერიტორიებზე მოიპოება აუარებელი სიმდიდრეები, რომლებსაც მტაცებლურად აჩანაგებს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა. თანამედროვე ტექნიკის უდიდეს ძალებს სული ეხუთებათ კაპიტალისტური კერძო საკუთრების და მოგებისადმი გამოდევნების ჩარჩოებში, მონოპოლისტური ლპობის პირობებსა და ვიწრო პოლიტიკურ საზღვრებში, რომლებითაც დასერილია კაპიტალისტური მსოფლიო.

ხუთწლედის მანძილზე ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად და ასათვისებლად ჩატარებული მუშაობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობა მოეპოვება პროლეტარულ სახელმწიფოს, იმ საზოგადოებას, რომელიც ანგრევს კერძო საკუთრების ზღუდეებს. პროლეტარიატმა ფართოდ გააფართოვა სამრეწველო წარმოების ნედლეული ბაზა. იგი აწარმოებს პოლიარული ჩრდილოეთის, რუსეთის იმპერიალიზმის ყოფილი კოლონიების — ურალის, ციმბირის, შუა აზიის, კავკასიის — უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების სამრეწველო გადამუშავებას.

ცნობილია, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაზე უკვე ქმნის ტექნიკის მთელ რიგ ისეთ ნიმუშებს და ელემენტებს, რომლებიც წარმოადგენენ მომავალი კომუნისტური წყობილების ტექნიკის პროტოტიპს. ავტომატური მანქანა, წარმოების ელექტროფიკაცია, გადამუშავების ქიმიური მეთოდების განვითარება—ყველაფერი ეს უკვე ახლა ამზადებს ფიზიკური შრომის მეთვალყურეობის და კონტროლის შრომად გადაქცევის წინაპირობებს. მანქანების ავტომატური სისტემა მუშახელის წარმოების პროცესის ხელმძღვანელად და, რომელიც მოიცავს წარმოების პროცესის ერთიანობას, მისი რომელიმე ცალკე სტადიისათვის დამორჩილების ნაცვლად მაგრამ წარმოების დამთავრებული და თანამიმდევრობითი ავტომატიზაცია მიუღწეველია კაპიტალიზმის დროს. მუშის გადაქცევა მანქანის დამატებიდან ავტომატიურ მანქანების სისტემის მმართველად ძირს გამოუთხრიდა ფაბრიკაში შრომის კაპიტალისტური სუბორდინაციის ერთ-ერთ საფუძველს. იგი მოსპობდა ყოველგვარ ობიექტიურ საფუძველს წარმოების მართველის, მბრძანებლის დასაპირდაპირებლად უბრალო შემსრულებლისათვის. კაპიტალიზმის დროს წარმოების ავტომატიზაცია მუშათა კლასისათვის მოაქვს შრომის ხელფასის შემცირება, უმუშევრობის გადიდება, ექსპლოატაციის გაძლიერება.

მხოლოდ სოციალისტურ ფაბრიკაში აძლევს ავტომატიური მანქანა მუშას სულ ახალ-ახალ შესაძლებლობას დაეუფლოს წარმოების მეცნიერებას, ზეგავლენა მოახდინოს მასზე თავისი სულიერი ნიჭით, ამაღლდეს წარმოების პროცესზე. როგორც ხელმძღვანელი და კონტროლიორი, მხოლოდ პროლეტარიატის ხელში, მხოლოდ შრომის სოც. კოოპერაციის საფუძველზე შეიძლება განვითარდეს უახლესი ტექნიკის ეს ტენდენცია და გადაიქცეს იგი გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირდაპირების მოსპობის მატერიალურ საფუძვლად.

დნეპროჰესის განმანაწილებელ ფარებში, გიგანტურ მეტალურგიულ და ქიმიურ კომბინატებში, რაც შექმნილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილას, ავტომატიურ მანქანების საუცხოვო აწყობაში, უძლიერესად სრულყოფილი ტექნიკის მრავალრიცხოვან გიგანტებში, რაც შექმნა ხუთწლედის მანძილზე, უკვე ყალიბდება სოციალიზმის ახალი ტექნიკური ბაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს კომუნისტური საზოგადოების განვითარების შემდგომ, უფრო მაღალ სტადიებზე საბოლოოდ მოვსპოთ შრომის ბურჟუაზიული განაწილების ნაშთები საერთოდ.

მარქსი სწერდა: „კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერთი კლასის თავისუფალი დრო იქმნება მასების მთელი ცხოვრების სამუშაო დროდ გადაქცევის საშუალებით“ და აღნიშნავდა, რომ „რაც უფრო თანაზომიერადაა განაწილებული შრომა საზ.-ის ყველა შრომის — უნარიან წევრებს შორის, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა ერთი საზოგადოებრივი ფენისათვის თავიდან მოიცილოს და მეორე საზოგადოებრივ ფენას დააკისროს შრომის ბუნებრივი აუცილებლობა“

მწარე ირონია გამოიხატება იმაში, რომ კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობების ძალდატანებითი აფეთქების პერიოდებში, კრიზისების დროს, მუშათა დიდძალ მასას გადაჭარბებით აქვს „თავისუფალი დრო“, მაგრამ ეს თავისუფლება წარმოადგენს შიმშილისაგან სიკვდილის თავისუფლებას. „თავისუფალი დრო“ უმუშევართა მილიონებისა და ათეული მილიონებისათვის, რომლებიც წარმოებიდან გამორეკა თანამედროვე მსოფლიო კრიზისმა, ნამდვილ უბედურებად გადაიქცა.

არაშრომითი შემოსავლის წყაროების მოსპობით, ამ შემოსავლით მცხოვრები კლასების ლიკვიდაციით, საბჭოთა წყობილება საქმით ახორციელებს სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს — შრომის საყოველთაობის პრინციპს. შრომის საყოველთაობა ხორციელდება არა მარტო პარაზიტული, არამშრომელი ელემენტების მოსპობით, არამედ იმ მიზეზების მოსპობითაც, რომლებიც პერიოდულად იწვევენ მუშათა კლასის დიდძალი ნაწილის უმუშევრობას.

მოსპობილია სასაქონლო კაპიტალისტური წარმოების ანარქია. მოსპობილია წინააღმდეგობა შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და მის კერძო მითვისებას შორის ძირს გამოთხრილია და მოსპობილი კაპიტალისტური დაგროვების კანონი, რომელიც მუშას უფრო მაგრათ აჯაჭვებს კაპიტალზე, ვიდრე გეფესტის უფრო აჯაჭვებდა პრომეთეს კლდეზე. ხუთწლედის შედეგი — უმუშევრობის მოსპობა, სოფლად გლატაკების და პაუპერიზმის მოსპობა — წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს შრომის სოციალისტური საყოველთაობის მიღწევის გზაზე.

„აშკარაა რომ მუშათა პერსონალის კომბინირებული შედგენა ორივე სქესის და სხვადასხვა ასაკის პირთაგან, რაც თავისი სტიქიური, ტლანქი კაპიტალისტური ფორმით, როდესაც მუშა არსებობს წარმოების პროცესისათვის და არა წარმოების პროცესი მუშისათვის, წარმოადგენს დაღუპვის და მონობის მოწამლულ წყაროს, — სათანადო პირობებში აუცილებლად უნდა გადაიქცეს, პირიქით, ჰუმანიური განვითარების წყაროდ“, — სწერდა მარქსი.

ხუთწლედის შედეგად ერთი-ორად გაიზარდა მსხვილი მრეწველობის მუშაკთა არმია ამოძრავებულია საუკუნოების მთვლემარე გიგანტური მწარმოებელი ძალები. გიგანტურად გაფართოვდა შრომის ნაყოფიერი გამოყენების ასპარეზი. ძირეულად იცვლება შინაარსი შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების მსხვილ სახეებს შორის (ის, რასაც მარქსი შრომის საერთო განაწილებას უწოდებდა), ისე წარმოების ცალკე სახეებს შორის და საწარმოს შიგნით (ე. ი. შრომის კერძო და ერთეულ განაწილებას შორის).

მარქსი აღნიშნავდა, რომ „შრომის ყოველი განვითარებული განაწილების საფუძველს რომლის საქონელი გაცვლა-გამოცვლის გზით ხორციელდება, წარმოადგენს ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიური ისტორია ხასიათდება ამ დაპირდაპირების მოძრაობით“. „უკვე შრომის პირველმა დიდმა განაწილებამ ქალაქის გამოყოფამ სოფლისაგან, განწირა სოფლის მოსახლეობა ათასეული წლობით ხანგრძლივი სიჩლუნგისათვის, ხოლო ქალაქელნი — თვითეულის დამონებისათვის მისი ცალკე დეტალური მუშაობით“.

კაპიტალიზმის ეპოქამ კიდევ უფრო გაამრავა შრომის დანაწილების ამ საფუძვლის ექსპლოატატორული ხასიათი, კიდევ უფრო გააფართოვა და გაამწვავა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის.

სოციალიზმი მიზნად ისახავს ამ წინააღმდეგობის მოსპობას, რომელიც შექმნილი და განსაზღვრულია კაცობრიობის მთელი წინანდელი ეკონომიური ისტორიით. სოციალისტური მეურნეობის გამარჯვება სოფლად, რაც მიღწეულია ხუთწლედის შედეგად „ახდენს გლეხის ფსიხოლოგიის გარდაქმნას და მის მობრუნებას პირით ქალაქისაკენ.. ქმნის ნიადაგს ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობისათვის“ (სტალინი).

კოლმეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საშუალებით, თანამიმდევრობითი სოციალისტური ტიპის სასოფლო-სამეურნეო გიგანტების საშუალებით, იზრდება მსხვილი მექანიზებული საზოგადოებრივი წარმოების ის ახალი ფორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაერთოთ მიწათმოქმედება და მრეწველობა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მთლიან საწარმოო საფუძვლად.

„კაპიტალიზმის დროს ქალაქი აძლევდა სოფელს იმას, რაც მას ღუპავდა პოლიტიკურად, ეკონომიურად, ზნეობრივად, ფიზიკურად და სხვ. ქალაქი ჩვენში უკვე თავისთავად იწყებს სრულიად საწინააღმდეგოს მიცემას სოფლისათვის“

სოციალისტურ ქალაქს იერიში მიაქვს სოფლის ველურობასა და ჩამორჩენილობაზე, „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმზე“ თავისი ინდუსტრიალური შრომის კულტურით, მეცნიერებით, ახალი საყოფაცხოვრებო ურთიერთობით. ქალაქი იწყებს გადასახლებას სოფელში, აშენებს თავის ფორპოსტებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან, მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან. იგი გადადის შეტევაზე ახალი სამრეწველო გიგანტებით, რომლებიც აღმოცენდნენ იქ, სადაც წინად მიყრუებული სოფლები იყო, იგი შიგნიდან აფეთქებს „იდიოტიზმს“ წარმოების მექანიზაციის მძლავრი იარაღებით. კულაკურ ელემენტებთან გაამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაში სწარმოებს წვრილი მწარმოებლის ფსიქოლოგიის, კერძო საკუთრების საუკუნოებით დამკვიდრებულ ტრადიციების გარდაქმნა. ეს ნიშნავს, რომ დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის ის პერიოდი, რომლის შესახებ ენგელსი სწერდა: „საზოგადოების გარდაქმნა მიაღწევს იმ საფეხურს, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევუდგეთ წინააღმდეგობის მოსპობას ქალაქსა და სოფელს შორის“. სოციალიზმის მშენებლობა ძირფესვიანად გარდაქმნის კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებულს „შრომის ტერიტორიალურ დაყოფას“, რომელიც წარმოების განსაზღვრულ დარგებს ამაგრებს ქვეყნის განსაზღვრულ ოლქებზე“.

ხუთწლედმა სახე შეუცვალა ჩვენი ქვეყნის რუკას. ჩვენი ქვეყნის მიყრუებულ და რუსეთის იმპერიალიზმის კოლონიალური პოლიტიკით გამოფიტულ ოლქებში შეიქმნა ინდუსტრიალური გიგანტები. ძირფესვიანად შეიცვალა შრომის დანაწილების ბუნება ჩვენი სოციალისტური საწარმოების შიგნით.

მარქსის მოძღვრების უაღრესად უხეშ დამახინჯებას, კაპიტალიზმის აპოლოგეტიურ შელამაზებას წარმოადგენს საკმაოდ გავრცელებული შეხედულება საწარმოში შრომის დაყოფის, როგორც შრომის ტექნიკური დაყოფის შესახებ. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებას შრომის დაყოფის, როგორც შრომის კაპიტალისტური კოოპერაციის განსაკუთრებულ, უფრო განვითარებულ ფორმის შესახებ ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ხელთნაწერში, რომელიც წარმოადგენდა „კაპიტალ“-ისთვის მოსამზადებელ შრომას, მარქსი იძლევა კაპიტალიზმის დროს შრომის განაწილების ორივე ერთი მეორის საწინააღმდეგო ფორმის ამომწურავ განსაზღვრას, რომელიც სპობს ყოველგვარ საბაბს რაიმე გაუგებრობისათვის.

„პირველი—საზოგადოებრივი შრომის განაწილება შრომის სხვადასხვა დარგებად. მეორე—შრომის განაწილება ერთი საქონლის მანუფაქტურაში, ე. ი. შრომის განაწილება არა საზოგადოებაში, არამედ შრომის საზოგადოებრივი განაწილება სახელოსნოს შიგნით“.

შემდეგ მარქსი აღნიშნავს, რომ სახელოსნოში შრომის განაწილების მეოხებით „მუშათა შრომა ხდება იძულებითი შრომად, რადგან რამდენადაც მუშები შედიან წარმოების პროცესში, იმდენად ისინი ემორჩილებიან კაპიტალის დისციპლინას“. კაპიტალის ეს იძულებითი დისციპლინა, კაპიტალის ბრძანებისათვის მუშების ასეთი დამორჩილება განსაზღვრავენ შრომის საზოგადოებრივი განაწილების კლასობრივ შინაარსს კაპიტალისტური წარმოების, შრომის კაპიტალისტური კოოპერაციის შიგნით.

„შრომის პროცესის ეს საზოგადოებრივი ფორმა წარმოადგენს მეთოდს, რომელსაც კაპიტალი იყენებს იმ მიზნით, რომ უფრო ხელსაყრელი ექსპლოატაცია გაუწიოს შრომას მისი საწარმოო ძალის გადიდების გზით“.

ჩვენს სოციალისტურ საწარმოებში იქმნება შრომის კოოპერაციის ახალი სოციალისტური სისტემა.

გაამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ცეცხლში იბადება ახალი სოციალისტური ურთიერთობა. მარქსის მოძღვრება პროლეტარული რევოლიუციისა და პროლეტარული დიქტატურის გზით კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის შესახებ ხორციელდება.

საბჭოთა კავშირმა წარმატებით დაამთავრა პირველი ხუთწლედი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში წარმოადგენს მრავალ ათეულ მილიონ ადამიანის შრომაზე შენებული და გეგმაშეწონილი ხელმძღვანელობის, მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის კოლოსალური ამოცანების შესრულების გიგანტურ გამოცდილებას. საბჭოთა ქვეყანა შევიდა მეორე ხუთწლედში, რომლის წინაშე დასახულია სოციალისტური საზოგადოების აგების კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები.

კაპიტალიზმის იმ იდეოლოგებისაგან განსხვავებით, რომელთაც გზა-კვალი აბნეული აქვთ და არ შეუძლიათ შეიცნონ თავის საკუთარი საზოგადოებრივი წყობილების მოძრაობის კანონები, ჩვენ მშვენივრად ვიცით თუ საით მიდის კაპიტალიზმი, საით მიჰყავს იგი მის გაშლილ წინააღმდეგობათა განვითარებას. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია მკაფიოდ გვისახავს სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის გზას. იგი წარმოადგენს გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ე. ხმელნიცკაია.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 54.

მარქსიზმის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი

მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს ქართული გამოცემის გამო

I

კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავს თვალსაჩინო მიღწევებით ვხვდებით საბჭოთა საქართველოშიაც. ეს მიღწევები მდგომარეობს მარქსის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ქართულ ენაზე გამოცემაში. იმ განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის გამო, რომლითაც პარტია და ხელისუფლება მოეკიდა კაცობრიობის უდიდესი წარმომადგენლების, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების მოძღვრების გაცნობას მშრომელთა ფართო მასებისათვის, შევძელით თითქმის დაგვემთავრებინა მარქს-ენგელსის ძირითადი ნაწერების გამოცემა ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის გასაგებ ენაზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ დღემდე ცოტა გავაკეთეთ მარქსის და ენგელსის ქართულ ენაზე გამოსულ ნაწერების პოპულარიზაციისათვის. ამას ცხადჰყოფს ის, რომ მარქსის ქართულ გამოცემების შესახებ არ დაწერილა ჩვენს პრესაში ცოტათ თუ ბევრად ამომწურავი რეცენზია. არც პრესას და არც ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებს ამ მხრივ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ.

მარქსის ნაწერებში განსაკუთრებული ადგილი უკავია „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს. „კომუნისტური მანიფესტ“-თან ერთად ის მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს. ლენინი, რომელსაც ენგელსის შემდეგ მოუხდა „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს დაცვა რენეგატ კაუცკის და სხვა ოპორტუნისტთა მხრივ გაყალბებისაგან, აღნიშნავდა, რომ ამ შესანიშნავ ნაწარმოებში „შეჯამებულია მთელი მისი (მარქსის—დ. გ.) რევოლიუციონური მოძღვრება“-ო. მარქსის როგორც სხვა ნაწერების, აგრეთვე „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ში მოცემულ ნააზრევის მიხედვით ასკვნიდა ლენინი თავის „სახელმწიფო და რევოლიუცია“-ში „მარქსის მთელი თეორია არის განვითარების თეორია მისი ყველაზე თანმიმდევარი, მოფიქრებული, და შინაარსით მდიდარი ფორმით მიყენებული თანამედროვე კაპიტალიზმისადმი. ბუნებრივია, რომ მარქსისათვის დაისვა საკითხი მიყენებისა ეს თეორია როგორც კაპიტალიზმის მოახლოებული კრახისათვის, ისე მომავალი კომუნიზმის მომავალი განვითარებისათვის“ (ტ. 21, 3 გამოც. გვ. 427,428).

ლენინმა მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკა“ რევოლიუციონური მარქსიზმის უძვირფასეს დოკუმენტად აღიარა. თავისი უკვდავი ნაწარმოები „სახელმწიფო და რევოლიუცია“ ლენინმა აგო პირველ რიგში „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს ძირითად დებულებათა განვითარებაზე. „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს აზრების შემდგომი განვითარება მოგვცა ლენინმა წიგნში „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი“ და მთელ რიგ სხვა ნაწერებში.

„გოთას პროგრამის კრიტიკა“, როგორც მეტად ბასრი იარაღი გამოიყენა ლენინმა მარქსიზმის დამახინჯების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ გამანადგურებელი კრიტიკისათვის, კაუცკის და მეორე ინტერნაციონალის სხვა ბელადების რენეგატობის გამოსაშჟღავნებლად, მეორე ინტერნაციონალის პარტიების მიერ მარქსიზმის შერყვნის და გაპარტახების გამოსამზეურებლად და რევოლიუციონური მარქსიზმის დასაცავად ყველა და ყოველგვარი სახის „შესწორებისაგან“.

ამით ლენინმა დაიცვა მარქსიზმი ოპორტუნისტულ გაყალბებისაგან და სახელოვნად გააგრძელა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ის გზა, რომელიც მარქსმა და ენგელსმა განსაკუთრებული სიცხადით დაასაბუთეს სწორედ „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ში.

„გოთას პროგრამის კრიტიკა“ განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობისაა დღესაც. ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პროცესში, მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის საყოველთაო კრიზისის, კაპიტალისტური სისტემის გაძლიერებული რღვევის, დაშლის პერიოდში და სოციალ-დემოკრატიის—მარქსის მიერ „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ დახასიათებულ ოპორტუნიზმის ღირსეულ მემკვიდრის—დღევანდელი განვითარების პირობებში. ამ დოკუმენტის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში, მსოფლიოში ჯერჯერობით ერთ ქვეყანაში, ძლიერდება პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც მუშათა კლასის სახელმწიფო კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში, პრაქტიკულად შენდება კომუნისტური საზოგადოების პირველი საფეხური, რომლის დასაბუთება მოგვცა მარქსმა ხსენებულ ნაწარმოებში და რაც მთავარია, სოციალიზმი ჩვენში რეალურად ხორციელდება სწორედ იმ პრინციპების მიხედვით, რომელნიც მარქსმა და ენგელსმა წამოაყენეს და დაიცვეს მაშინდელ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში.

იმ განუზომელი მნიშვნელობის გამო, რომელიც მარქსიზმის ისტორიაში ენიჭება „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს მისი წარმოშობის პირობები, მასში განვითარებული ძირითადი აზრები და ამ აზრების ცხოველმყოფელობა სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ პერიოდისათვის.

ამ მიზნით „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს ქართული თარგმანი არის ჩვენი მსჯელობის საგანი, თუმცა მას რუსულ გამოცემასთან შედარებით, აკლია აუცილებელი წინასიტყვაობა და დამატებითი მასალა, ამიტომ ჩვენ დროებით გვერდს ვუვლით რა ქართული თარგმანის ღირსებას, ვიყენებთ აგრეთვე „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს უკანასკნელ რუსულ გამოცემას, რომელიც უდავოდ დასრულებული წარმოდგენას იძლევა მარქსის ამ ნაწარმოების შესახებ მასში მოთავსებულ დამატებით მასალით და მეტად საჭირო შენიშვნებით.

„გოთას პროგრამის კრიტიკა“ წარმოადგენს არსებითად პოლემიკურ წერილს, რომელიც მარქსის მიერ დაწერილია 1875 წლის მაისში და მიმართულია გერმანიის მაშინდელ გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისა და ამ პარტიის მიერ 1875 წელს გოთაში გამომუშავებულ პროგრამის ყალბი აზრების წინააღმდეგ. მარქსის და ენგელსის ცალკე წერილები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მაშინდელი ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც თან ახლავს პოლემიკურ წერილს, იძლევა სრულ წარმოდგენას „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს შედგენის პირობების, პროგრამის ავტორებისა და საერთოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაშინდელი ბელადებისადმი მარქსის და ენგელსის დამოკიდებულების შესახებ. ეს მასალები აგრეთვე შუქს ჰფენს ოპორტუნიზმის იმ ძირებს, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ფეხს იკიდებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და რომელთაც ამაგრებდენ იმთავითვე მარქსის მოწინააღმდეგენი კაუცკის მეთაურობით.

1875 წლამდე გერმანიაში არსებობდა ჯერ კიდევ 60-იან წლებში წარმოშობილი ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი მუშათა პარტია „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, ვილჰელმ ლიბკნეხტისა და ბებელის მეთაურობით. რომელსაც სხვაგვარად ეიზენახელები ეწოდებოდა და „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირი“ ჰაზენკლევერის, ჰასელმანის და ტელკეს მეთაურობით ანუ პარტია ლასალელებისა. გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების ფონზე თითქმის მთელი 15 წლის განმავლობაში დიდ ინტერესს იწვევდა ამ ორი პარტიის ბრძოლა. „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ ლიბკნეხტის და ბებელის მეთაურობით მარქსთან და ენგელსთან ახლოს იდგა და მათი დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაშინ როდესაც მარქსიზმის ფუძემდებელთა დამოკიდებულება ლასალისა და მისი პარტიისადმი, იყო თავიდანვე უარყოფითი, რადგან მარქსი ლასალს არასოდეს არ თვლიდა არც თავის მიმდევრად და არც ნამდვილ სოციალისტად.

1875 წელს ლასალელები და ეიზენახელები გაერთიანდენ და ქ. გოთაში გამომუშავებულ იქნა გერმანიის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიის პროგრამა. მარქსი თავიდანვე გარკვეულ საშიშროებას ხედავდა ამ გაერთიანებაში, რადგან ითვალისწინებდა ლასალის მავნე, ოპორტუნისტულ აზრების შესაძლებელ გავრცელებას გერმანიის მუშათა კლასში და მის ავანგარდში—გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიაში. ამიტომ თავის გადაუდებელ მოვალეობად მარქსმა და ენგელსმა მიიჩნიეს ჯერ კიდევ ყრილობამდე „პროგრამის“ პროექტის გაკრიტიკება, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინათ ყრილობისათვის გოთაში. ეს ამოცანა წილად ხვდა თვით მარქსს, რომელმაც მისთვის ჩვეული სიმახვილით და შეურიგებლობით დაამსხვრია „პროგრამაში“ წამოყენებული ყველა დებულებები. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში ე. წ. ეიზენახელთა პარტიის ბელადებიდან მარქსის თვალსაზრისს იზიარებდა მხოლოდ ბრაკე და ამიტომ მარქსმაც „პროგრამის“ პროექტის კრიტიკა ბრაკეს გადაუგზავნა. მარქსი იმედოვნებდა, რომ ეიზენახელთა გამოჩენილი ბელადები ვილ. ლიბკნეხტი და ბებელი გაიზიარებდენ [illegible] კრიტიკას, მიიღებდენ ყველა შენიშვნებს და კიდეც დაიცავდენ მათ ყრილობაზე. ენგელსმაც თავის მხრივ მისწერა ბებელს ყრილობამდე მისი და მარქსის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ „პროგრამის“ პროექტისადმი და გადაჭრით მოითხოვდა „პროგრამის“ ძირითად შესწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში—ამბობდა ენგელსი—ის და მარქსი საჯაროთ განაცხადებენ პროგრამის მიუღებლობას მათის თვალსაზრისით. მარქსი სწერდა ბრაკეს, რომ თუ შესწორებები არ იქნებოდა მიღებული „..კოალიციური კონგრესის ჩატარების შემდეგ ენგელსი და მე მოკლე განცხადებას გამოვაქვეყნებთ, რომ ჩვენ ხსენებული პროგრამის პრინციპებიდან შორს ვდგევართ და მასთან არაფერი საქმე არ გვაქვს“-ო. მარქსი და ენგელსის აზრით ამ პროგრამით გერმანიის პროლეტარიატი მუხლს იდრეკდა ლასალის რეფორმისტული თეორიის წინაშე, რომ „პროგრამის პროექტი“ წარმოადგენდა „პარტიის დემორალიზაციის მომხდენ პროგრამას“, „პროგრამა არაფრად ვარგა—სწერდა მარქსი, თუნდაც მხედველობაში არ მივიღოთ, რომ იქ ლასალელთა სარწმუნოების სიმბოლო საღვთო საგნად არის მიჩნეული“. ასევე ენგელსიც ბებელისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ეს პროგრამა „გერმანიის სოციალური პროლეტარიატის მუხლმოდრეკაა ლასალიზმის წინაშე“, რომ „ჩვენს პარტიას აბსოლუტურად არაფერი აქვს სასწავლი ლასალელებისაგან თეორიულის მხრივ, მაშასადამე, იმაში, რასაც პროგრამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ლასალელებს კი ბევრი რამ აქვთ ჩვენგან სასწავლი“, რომ „ეს პროგ. ისეთია, რომ თუ იგი მიღებული იქნა, მარქსი და მე არასოდეს თავს არ მივაკუთვნებთ ამ საფუძველზე აგებულ ახალ პარტიას..“ (ენგელსი).

სამწუხაროთ მარქსის და ენგელსის რჩევა არ იქნა მიღებული. გაიმარჯვა ლასალის და სხვათა ოპორტუნიზმმა და მარქსის მიერ უკუგდებული პროექტი პროგრამისა თითქმის უცვლელად მიღებულ იქნა გაერთიანებული ყრილობის მიერ გოთაში. ამან გამოიწვია მარქსის და ენგელსის გამიჯვნა ოფიციალურად ამ პროგრამისაგან და „გოთას პროგრამის კრიტიკის“ გამოქვეყნება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები წინააღმდეგი იყვნენ მარქსის „კრიტიკის“ გამოქვეყნებისა, უმალავდენ ამ დოკუმენტს ფართო პარტიულ მასებს და მუშათა კლასს და ყოველმხრივ ცდილობდენ მისი მნიშვნელობის მიჩქმალვას. მაგრამ ენგელსის დაჟინებითი მოთხოვნით 1891 წელს ეს დოკუმენტი მაინც გამოქვეყნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თეორეტიულ ორგანოში „ნოიე ცაიტ“-ში. კაუცკი, რომელიც ამ ორგანოს რედაქტორად ითვლებოდა მაშინ, სასტიკად ილაშქრებდა „გოთას პროგრამის კრიტიკის“ წინააღმდეგ და ენგელსს დიდი ბრძოლა დასჭირდა, რათა კაუცკი იძულებით დაებეჭდა ის. ბებელიც კაუცკისთან ერთად იყო რა წინააღმდეგი ამ დოკუმენტისა, მთელი ათეული წლების განმავლობაში არ აქვეყნებდა მისდამი ენგელსის მიერ მიწერილ მეტად საყურადღებო წერილს „პროგრამის“ კრიტიკის შესახებ. ბებელმა, ამბობს ლენინი „სახელმწიფო და რევოლიუციაში“, რომელიც მალავდა ამ უშესანიშნავ წერილს სახელმწიფოს შესახებ ის „პირველად დაბეჭდა თავისი მემუარების მეორე ტომში, რომელიც გამოვიდა 1911 წელს, ე. ი. 36 წლის განვლის მისი დაწერისა და გაგზავნის შემდეგ“ (ტ. 21, 3 გამოც. გვ. 418).

ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ენგელსს დიდი ბრძოლა დასჭირდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადების და კერძოთ კაუცკის წინააღმდეგ, გამოექვეყნებინათ მარქსიზმის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი და დამუქრებოდა მათ, რომ თუ „კრიტიკა“ არ გამოქვეყნდებოდა „ნოიე ცაიტში“, მაშინ ის (ენგელსი) „კრიტიკა“-ს ვენის გაზ. „არბაიტერ ცაიტუნგში“ გამოაქვეყნებდა. ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია იმისათვის, რათა ვიცოდეთ, რომ კაუცკი, როგორც სულის ჩამდგმელი ოპორტუნიზმისა თავიდანვე მარქსის წინააღმდეგი იყო, ცდილობდა რევოლიუციონური სული ამოერთმია მარქსიზმისათვის და ის ოპორტუნისტულ პრინციპების და ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის ფარგლებში ჩაეყენებინა. ამის წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდა კერძოთ მარქსის სიკვდილის შემდეგ ენგელსი და სწორედ ენგელსის ეს შეურიგებლობა რევოლიუციონური მარქსიზმისა რეფორმიზმისადმი, დამპალი ოპორტუნიზმისადმი ასე სახელოვნად გააგრძელეს ლენინმა და სტალინმა. ენგელსი, სწერს კაუცკის „კრიტიკის“ გამოქვეყნების გამო 1891 წლ 21 თებერვალს*). „...არ დაივიწყოთ, რომ პირველი ნაბიჯი მაინც მე გადავდგი [illegible] და რომ ამასთანავე მე რამდენადმე [illegible] ძული შენ გეოქმედა, ამიტომ მთავარ პასუხისმგებლობას მე ვიდებ ჩემს თავზე“. „კრიტიკის“ გამოქვეყნებას ენგელსის თქმით ფართო პარტიული მასები „უდიდესი კმაყოფილებით“ შეხვდენ. მაგრამ ის ლახვარივით დაესო ბელადებს.

კაუცკის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სხვა ხელმძღვანელებმა არ მიიღეს მაინც მარქსის კრიტიკა და თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება მისადმი არც დაუმალავთ. კაუცკიმ, „ფორვერტს“-ს რედაქციამ, რეიხსტაგის ფრაქციამ და პარტიის მართველობამ, როგორც გვაუწყებს ამის შესახებ დაწვრილებით მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენიშვნები—„კრიტიკა“-ს უკანასკნელი გამოცემისადმი, აშკარად დატუქსეს მარქსი და დაიცვეს ლასალი**) ჩვენ ამას ხაზს ვუსვამთ, რათა ნათელი იქნეს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები კაუცკის მეთაურობით თავს აცხადებდენ ლასალის და არა მარქსის მიმდევრებად. და ეს ისტორიულად გამართლდა. კაუცკი თავისი პარტიით წავიდა არა მარქსის გზით, არამედ ლასალის გზით, გზით რეფორმისა, ოპორტუნიზმისა, მუშათა კლასისადმი ღალატის გზით.

„რათა [illegible] შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ლასალელობის მარქსის კრიტიკამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ წრეებზე, კაუცკიმ „ნოიე ციტი“-ს № 21-ში მოათავსა წერილი „ჩვენი პროგრამები“, რომელშიაც ის ყოველ მხრივ ჩქმალავდა მარქსის კრიტიკის პრაქტიკულ მნიშვნელობას, ემიჯნებოდა რამას და აღნიშნავდა რა ლასალის უდიდეს „დამსახურებას“. „პოზიცია—სწერდა სხვათა შორის კაუცკი—რომელიც მარქსმა დაიჭირა ლასალის მიმართ, არ ემთხვევა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოზიციას... უკანასკნელი ეპყრობა მას სხვაგვარად, ვიდრე მარქსი... განა შეგვეძლოა ჩვენ ისეთი კაცის დავიწყება, რომლის ნაწარმოებთაგან ჩვენ ყველამ, პარტიის ძველმა წევრებმა და აგრეთვე უფრო ახალგაზრდების უდიდესმა რაოდენობამ, შევიძინეთ სოციალისტური ცოდნის საფუძველი, პირველი აღფრთოვანება სოციალიზმის წინაშე? ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ და ვაკვირდებით ყოველივე იმას, რასაც ამბობს მარქსი თავის მოწაფე ლასალზე. მაგრამ არ ვივიწყებთ, რომ ეს უკანასკნელიც ეკუთვნის ჩვენს მასწავლებელთა რიცხვს და მოწინავე მებრძოლებს“ („ნოიე ცაიტ“—1891 წლ. თებერვალი. 9, ტ. 1, გვ. 680)*).

ესაა ჩვენთვის მთავარი; ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კაუცკი იცავდა ლასალს მარქსის და ენგელსის წინააღმდეგ, რომ კაუცკის სურდა შეეთანხმებია, შეეთავსებინა ლასალის წვრილ-ბურჟუაზ. იდეოლოგია რევოლიუციონურ მარქსიზმთან, რომ კაუცკი ლასალს შეცდომით თვლიდა მარქსის მოწაფედ და რასაკვირველია, კანონიერად აღიარებდა მას თავის ერთ-ერთ მასწავლებლად. ლასალი არ ყოფილა მარქსის მოწაფე, მარქსიზმის დამცველი, ან მისი გამავრცელებელი, ამიტომ მარქსის დამოკიდებულება ლასალისადმი იყო უარყოფითი, რადგან მარქსის თქმით „ლასალმა პარტიას უღალატა“, ლასალი ბისმარკს დაუკავშირდა, მხარს უჭერდა ბისმარკის დესპოტიურ სახელმწიფოს და აქეთკენ მოუწოდებდა, ამ გზაზე აყენებდა პარტიას. „ლასალი და ლასალელები ეფლირტებოდენ იუნკერ ბისმარკის მთავრობას“ (ლენინი) და ამიტომ იყო, რომ მარქსი ლასალს „მეფის სოციალისტს“ უწოდებდა და ლასალის სოციალიზმს—„მეფურ-პრუსიულ“ სოციალიზმს.

ენგელსმა კაუცკისადმი 1891 წლის 23 თებერვალს მიწერილ წერილში ფარდა ახადა ლასალის პიროვნებას, გააქარწყლა „ლეგენდა ლასალის შესახებ“. ენგელსმა აღნიშნა, რომ „დროა, რათა გამოირკვეს ლასალის ნამდვილი პოზიცია მარქსისადმი... რამდენადაც დიდათ არ უნდა ვაფასებდეთ ლასალის დამსახურებას მოძრაობისადმი, მისი ისტორიული როლი ამ მოძრაობაში რჩება ორნაირი. სოციალისტ-ლასალს კვალდაკვალ თან სდევს ლასალი-დემაგოგი, ლასალში, როგორც აგიტატორსა და ორგანიზატორში ყველგან მოსჩანს ადვოკატი, რომელიც გარცვენილის საქმეს აწარმოებს. იგივე ცინიზმი საშუალებათა ამორჩევაში, იგივე მისწრაფება გარს შემოიკრიბოს საეჭვო—გამყიდველი ხალხი, რომელთა გამოყენება უბრალოდ შეიძლება როგორც იარაღისა, ან—მათი შორს გადასროლა. იყო რა 1862 წლამდე პრაქტიკულად სპეციფიური პრუსიელი ვულგარული დემოკრატი ძლიერი ბონაპარტისტული მიდრეკილებებით, (მე ესეცაა გადავხედე წერილებს მარქსისადმი), მან მხოლოდ პირადი ხასიათის მიზეზების გამო, იცვალა ფრონტი და დაიწყო თავისი აგიტაცია. და ძლივს გავიდა ორი წელი, რაც ის იღწვის, რომ მუშები ადგენ მეფის მხარეზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და ასეთი ინტრიგები გააბა ხასიათით მის მონათესავე ბისმარკთან, რომ [illegible] უნდა გამოეწვია მოძრაობისადმი ფაქტიური ღალატი, რომ ის, მისდა საბედნიეროდ, დროზე რომ არ მოეკლათ“.

მარქსი და ენგელსი აკრიტიკებდენ ლასალს, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატს, რომლის იდეები საფუძვლად დაედვა „გოთას პროგრამა“-ს, ხოლო კაუცკი და სხვები, მას თავიანთ იდეოლოგიურ ბელადათ აცხადებდენ და მარქსის კრიტიკას უმართებულოდ აღიარებდენ. კაუცკი, ვლ. ლიბკნეხტი, ბებელი და სხვა ბელადები გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა იცავდენ „გოთას პროგრამას“ და არასწორად მიაჩნდათ მასში მარქსის მიერ შეტანილი შესწორებები, იცავდენ იმიტომ, რომ მარქსმა წამოაყენა პროგრამა მეცნიერული სოციალიზმისა, პროლეტარული დემოკრატიზმისა ხოლო ლასალის იდეების ყაიდაზე აგებული „პროგრამა“ ანვითარებდა წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალიზმის თეორიას, არ სცნობდა, სახელმწიფოს მარქსისტულ გაგებას არ იღებდა პროლეტარიატის დიქტატურას როგორც კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის სახელმწ. ფორმას, სწორედ „გოთას პროგრამის კრიტიკის“ უარყოფით, დაუპირდაპირდა ლასალის და კაუცკების წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიზმის თეორია პროლეტარულ დემოკრატიას, „თავისუფალი“ დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალიზმის თავისთავად, მშვიდობიანი აღმოცენება კაპიტალიზმის ნიადაგზე, ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებში, პარლამენტარიზმის, საყოველთაო საარჩევნო ხმის მიცემით და სხვათა მეოხებით, სოციალისტურ რევოლიუციას, ამიტომ იცავდენ და იცავენ ლასალს მარქსის წინააღმდეგ გერმანიის ოპორტუნისტები, ამიტომ აცხადებენ ლასალს თავიანთ ბელადათ სოციალფაშისტები.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დ. გვაზავა.

---

*) ეს მეტად საყურადღებო წერილი, შეტანილ უნდა იქნეს „გოთას პროგრამის კრიტიკის“ შემდეგ ქართულ გამოცემაში.

**) ცნობები მომყავს „გოთას პროგრამის კრიტიკა“-ს უკანასკნელი რუსული გამოცემიდან მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ (გვ. 11, 12, 70-74).

*) იხ. „გოთას პროგრამის კრიტიკა“ (რუსულად) გამოც. 1932 წ. გვ. 72.

თბილისის მრეწველობის 1932 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების შედეგების და 1933 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის V პლენუმის რეზოლიუცია, მიღებული ამხ. პ. მელაძის მოხსენების გამო

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-5 პლენუმი აღნიშნავს, რომ ოთხ წელიწადში შესრულებულ პირველი ხუთწლედის შედეგად, თბილისის მრეწველობის განვითარებაში მიღწეულია საგრძნობი წარმატებები, აშენებულია მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები, გაიზარდა კადრები და გადიდდა მუშათა კლასის მატერიალურ-კულტურული დონე. საერთო პროდუქციის ყოველწლიურმა ზრდამ და თბილისის მრეწველობის განვითარების ტემპებმა გადააჭარბეს ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს.

1932 წელს, პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს, ახასიათებს თბილისის მრეწველობის შემდგომი განვითარება და საერთო პროდუქციის ზრდა. 1932 წელს მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 7.800 ათასი მანეთი, რაც 85 პროცენტით სჭარბობს 1931 წელს დაბანდებულ თანხებს. მთელი სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1932 წლის განმავლობაში მოგვცა შემდგომი ზრდა, გადააჭარბა რა 1931 წლის პროდუქციის დონეს 1.9 პროცენტით, ან 2 მილიონი მანეთით 1926—27 წლის უცვლელ ფასებში.

მაგრამ აღნიშნული მიღწევების მიუხედავად და მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მთელმა რიგმა საწარმოებმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა 1932 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმები, თბილისის კომიტეტის პლენუმი არადამაკმაყოფილებლად სთვლის 1932 წლის გეგმის შესრულებას მთლიანად თბილისის მრეწველობის მიერ.

1932 წ. კაპიტალური დაბანდების გეგმის შესრულებას დააკლდა 85 პროცენტი, ამასთან ადგილი აქვს სამშენებლო საშუალებების საგრძნობ გაძვირებას.

პროდუქციის გამოშვების გეგმა თბილისის სახელმწიფო მრეწველობაში შესრულებულია მთლიანად 80,2 პროცენტით, აქედან:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მრეწველობის ხაზით—83,6 პროცენტით;

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—95,7 პროცენტი;

მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—66,9 პროცენტით;

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით — 6,9 პროცენტით;

მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—66,9 პროცენტით;

თბილისის საბჭოს მრეწველობის ხაზით—31,0 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება, 1931 წელთან შედარებით, გაიზარდა 2,8 პროცენტით, მაგრამ 1932 წლის გეგმის შესრულებას დააკლდა 8,6 პროცენტი.

ხელფასის ფონდის მხრივ 1932 წლის შედეგად გეგმასთან შედარებით ადგილი აქვს გადახარჯვას 10,6 პროცენტით. ამის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება მრეწველობის თითქმის ყველა დარგებში შემცირების ნაცვლად იძლევა ზრდას.

1932 წლის გეგმის ასე არადამაკმაყოფილებლად შესრულების ძირითად მიზეზად თბილისის კომიტეტის პლენუმი სთვლის იმას, რომ მთელი რიგი სამეურნეო, პროფესიული და პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ უწევენ საწარმოებს საკმაო კონკრეტულ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას, სუსტადაა გამოყენებული წარმოების შინაგანი რესურსები, არადამაკმაყოფილებელია შრომის ორგანიზაცია და საკმაოდ არ არის დანერგილი სამეურნეო ანგარიში სამეურნეო ორგანიზაციების და ცალკე საწარმოების ყველა რგოლებში.

ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ სუსტია ტექნიკური კონტროლი. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შინა-საქარხნო დაგეგმვა და ტექნიკური დანორმვა, დღემდე მთლიანად არ არის აღმოფხვრილი გათანაბრება ხელფასში შეფასება-დანორმვის სამუშაოების თვალსაჩინო დეფექტებთან ერთად, ადგილი აქვს თვითდინებაზე დაყრდნობას მუშა-ხელის შეგროვების საქმეში და მის დენადობას, აგრეთვე იმას, რომ გასულ წელს ფერხდებოდა ცალკე საწარმოების მომარაგება ნედლეულით, საწვავით და ელექტროენერგიით.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ერთგვარ მიღწევებთან ერთად, ორგპარტმასიური მუშაობის გარდაქმნა ყველა საწარმოებში არ იყო საკმაოდ დაკავშირებული სამრეწველო-საფინანსო გეგმების ბოლშევიკურად შესრულების, მუშათა მომარაგების გაუმჯობესების და სოცშეჯიბრების და დამკვრელობის შემდგომი განვითარების ამოცანებთან.

თბ. კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ 1933 წლ. გეგმის ბოლშევიკურად შესრულების ძირითად პირობას წარმოადგენს იმ დეფექტების სასწრაფოდ აღმოფხვრა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს თბილისის მრეწველობის მუშაობაში.

კაპიტალური მშენებლობა

1. დამტკიცდეს სახელმწიფო მრეწველობის (თბილისის იმ სამრეწველო საწარმოების გარდა, რომლებიც ამზადებენ საამშენებლო მასალას) კაპიტალური ხარჯების საერთო მოცულობა 19.250 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ხაზით—1.965 ათასი მანეთი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ლითონის ჩამომსხმელი ცენტრ. ქარხნის მშენებლობა (1 მილიონი მანეთი), „26“ სახელობის ქარხნის რეკონსტრუქცია (250 ათასი მანეთი), ღრმა-ღელის აგურის ქარხნის (245 ათასი მანეთი) და თაბაშირის ჩამომსხმელი ქარხნის (400 ათასი მანეთი) მშენებლობის დამთავრება.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 8.500 ათასი მანეთი, აქედან:

ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკის მშენებლობისათვის—2.500 ათასი მანეთი.

ტყავის სუროგატების ფაბრიკის მშენებლობისათვის —1.500 ათასი მანეთი;

გაერთიანებული სტამბის მშენებლობისათვის—1.200 ათასი მანეთი;

ახალი სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობისათვის—1.100 ათასი მანეთი;

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკისათვის—650 ათასი მანეთი;

მეტყავტრესტის არსებულ საწარმოების რეკონსტრუქციისათვის—800 ათასი მანეთი;

ტყავტრესტის საწარმოების მშენებლობისათვის —270 ათასი მანეთი;

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის მშენებლობისათვის—240 ათასი მანეთი;

სატყეო მრეწველობის ხაზით—1.925 ათასი მანეთი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობის სამუშაოები ვაზის წალამის ბაზაზე (1.400 ათასი მანეთი) და საჭირო სამუშაოები ფანერის ქარხნის და ავეჯის ფაბრიკის მშენებლობისათვის.

კვების მრეწველობის ხაზით — 6.860 ათასი მანეთი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მარგარინის ქარხნის, მაკარონის და კარამელის ფაბრიკის, თხევადი ნახშირმჟავას ქარხნის. წისქვილ-პურის კომბინატის და მაცივარის მშენებლობის დამთავრება მიმდინარე წელს, აგრეთვე თბილისის თამბაქოს ფაბრიკის რეკონსტრუქციისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელება.

თბილისის საბჭოს საამშენებლო მასალის მრეწველობის ხაზით წინადადება მიეცეს თბილისის საბჭოს ფრაქციას გაითვალისწინოს თბილისის საბჭოს 1933 წლის ბიუჯეტში ასიგნობანი საამშენებლო მასალის წარმოების გასაფართოვებლად არა ნაკლებ 1 მილიონი მანეთისა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას საამშენებლო მასალის მრეწველობის პროგრამის შესრულება.

2. პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა მშენებელ ორგანიზაციებს მიაღწიონ მშენებლობის ღირებულების მაქსიმალურ შემცირებას და მისი ვადების შემჭიდროებას, ამასთან უზრუნველყონ გამოყოფილი სახსრების თავის დროზე ათვისება.

3. პლენუმი ავალებს თბილისის საბჭოს ფრაქციას მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ერთად დაამუშაოს ყველა საჭირო ღონისძიებანი ადგილობრივი საამშენებლო მასალის წარმოების გაფართოებისა და მისი გაიაფებისათვის, თანახმად ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს 1933 წლის 5 თებერვლის დადგენილებისა, ამასთან აღნიშნულ ღონისძიებათა შესახებ მოახსენოს თბილისის კომიტეტის ბიუროს ორი დეკადის ვადაში.

საერთო პროდუქცია:

1. განისაზღვროს თბილისის სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 1932 წლის ფაქტიურ დონესთან შედარებით, 31,8 პროც. რაოდენობით.

ამასთან შეფარდებით დამტკიცდეს ოთხი სახალხო კომისარიატის და თბილისის საბჭოს მრეწველობის საწარმოო პროგრამა 1926—27 წლის უცვლელ ციფრებში 125 მილიონი მანეთის მოცულობით ნაცვლად ამ დარგების წარმოების ფაქტიური დონისა 1932 წელს—95 მილიონი მანეთის რაოდენობით.

2. დამტკიცდეს მძიმე მრეწველობის საწარმოების საწარმოო პროგრამა 12.045 ათასი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1932 წ. 10698 მანეთისა, ე. ი. 12,6 პროც. გადიდებით,

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საწარმოების საერთო პროგრამიდან ლითონის დამმუშავებელი საწარმოების პროდუქცია განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ა) „26“ სახელობის ქარხანა—8.000 ათასი მანეთი;

ბ) ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა—2.250 ათასი მანეთი;

გ) კალინინის სახელობის ქარხანა—2.200 ათასი მანეთი;

დ) ლითონის კონსტრუქციების ქარხანა—2350 ათასი მანეთი;

ე) სპილენძის სატკეცი ქარხანა—615 ათასი მანეთი.

3. გათვალისწინებულ იქნას წმინდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის საგრძნობლად გადიდება 26 კომუნარის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებში (ჩაის როლერები, ჩაის საშრობი, საჭრელი და დამხარისხებელი მანქანები, წყალსადენის ნაწილები, ძაფსახვევი ტანკები, მოწყობილობა ლიტოპონის ქარხნისთვის. მეღვინეობის მოწყობილობა და სხვ.). ამასთან პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას „საქართველოს ჩაი“-ს, აბრეშუმის მრეწველობის, ლიტოპონის ქარხნის მშენებლობის, ნატახტარის წყალსადენის მშენებლობის და სხვ. გეგმიანი დაკვეთების მთლიანად შესრულება.

4. მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოების მიხედვით პროდუქციის მოცულობა განისაზღვროს 73.700 ათასი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 61.800 ათასი მანეთისა, და ამრიგად უზრუნველყოფილ იქნას ზრდა 24,3 პროცენტით, ამასთან:

საფეიქრო მრეწველობაში მიღწეულ იქნას ზრდა 17,2 პროცენტით; აბრეშუმის საქსოვ მრეწველობაში—38,6 პროცენტით; სამკერვალო მრეწველობაში—26 პროცენტით; ფეხსაცმელის მრეწველობაში—40 პროცენტით, პოლიგრაფიულ მრეწველობაში—12 პროცენტით; ტყავის მრეწველობაში უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის გამოშვება 1933 წელს 1932 წლის დონეზე.

ამასთან შედარებით მსუბუქი მრეწველობის ძირითად საწარმოებში დასახულ იქნას შემდეგი საწარმოო დავალებანი:

თბილისის მაუდის ფაბრიკაში—646 ათასი მეტრი კამვოლის ქსოვილი, და 833 ათასი მეტრი მაუდის ქსოვილი;

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში—1856 ათასი მეტრი აბრეშუმის და ნახევარ აბრეშუმის ქსოვილი;

ფეხსაცმლის ფაბრიკაში—1565 წყვილი ფეხსაცმელი;

ქნის ფაბრიკაში—400 ტონა ძაფი.

5. კვების მრეწველობის ხაზით პროდუქცია განისაზღვროს 28.645 ათასი მანეთის რაოდენობით.

დასახულ იქნას შემდეგი დავალებანი პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით:

თამბაქოს ფაბრიკებში—3800 მილიონი მოსაწევი ერთეული; სამეურნეო საპონი—2.600 ტონა; მცენარეულობის ზეთი—1.000 ტონა; მაკარონი—7.000 ტონა;

6. სატყეო მრეწველობის ხაზით (ფანერის ქარხანა და ავეჯის ფაბრიკა) დამტკიცდეს პროგრამა 2.827 ათასი მანეთის რაოდენობით. ამასთან უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის ზრდა, 1932 წელთან შედარებით, 27,2 პროცენტით.

7. თბილისის საბჭოს მრეწველობის ხაზით—პროდუქციის მოცულობა განისაზღვროს 4,058 ათასი მანეთის რაოდენობით, ე. ი. ზრდა, 1932 წელთან შედარებით, 51,8 პროცენტით.

დაწესდეს შემდეგი დავალებანი ნაწარმის ძირითადი სახეების მიხედვით:

აგური—17.000 ათასი ცალი (თბილისის საამშენებლო მასალათა ტრესტის საწარმოებში);

კრამიტი—2.300 ათასი ცალი; გაჯი—7.000 ტონა; კირი—5.000 ტონა; ფანჯრის ჩარჩოები—5.650 ცალი; კარების ჩარჩოები—2.800 ცალი.

8. პლენუმს სრულიად დაუშვებლად მიაჩნია ცალკე საწარმოებსა და სამეურნეო ორგანოებს შორის ხელშეკრულებათა დადების გაჭიანურება და ავალებს თბილისის კომიტეტის ბიუროს მიაღწიოს აღნიშნულ ხელშეკრულებათა თავის დროზე დადებას.

შრომის ნაყოფიერება

1. თბილისის კომიტეტის პლენუმი თბილისის მთელი ორგანიზაციის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თბილისის მრეწველობის ცენტრალურ ამოცანას 1933 წელს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების აუცილებლად გადიდება ტექნიკის დაუფლებისათვის, მოწყობილობის უკეთ დატვირთვისა და გამოყენებისათვის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტექნიკური დანორმვის საქმის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის საფუძველზე, აგრეთვე მუშების სამუშაოზე გამოსვლის [illegible]თვის, სამუშაო დღის შემჭიდროებისათვის, დენადობის ლიკვიდაციისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და წარმოებაში შრომის უკეთესი ორგანიზა-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგებისა და თბილისის მრეწველობის 1933 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხ. პ. მელაძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის V პლენუმზე *)

მსუბუქ მრეწველობაში 1933 წლის გეგმით ჩვენ მიერ გათვალისწინებულია საერთო პროდუქციის გადიდება 61.800 ათასი მანეთიდან (1932 წელს) 78.700 ათას მანეთამდე (1933 წელს), ე. ი. გადიდება 27,3 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ამ ზრდას 1933 წელს ჩვენ ვითვალისწინებთ მოწყობილობისა და მუშა-ხელის უკეთ გამოყენების საფუძველზე, მშენებლობის ახალი ობიექტების ამუშავების გარეშე.

საკონტროლო ციფრების მიხედვით ჩვენში ზრდის ყველაზე უფრო სწრაფი ტემპი ეძლევა ფეხსაცმელების, სამკერვალო და სატრიკოტაჟო ფაბრიკებს, ე. ი. ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებს.

მაგალითად, ფეხსაცმელების ფაბრიკებმა 1933 წელს უნდა დაამზადონ 1.570 ათასი წყვილი ფეხსაცმელი ე. ი. 377 ათასი წყვილით ანუ 31,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1932 წელს.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკებმა თავიანთი პროდუქცია უნდა გაადიდონ 26 პროცენტით, ამასთანავე თვალსაჩინოდ გაფართოვდება ინდივიდუალური შეკერვის წარმოება 377 ათასი მანეთიდან (1932 წელს) 1.500 ათას მანეთამდე (1933 წელს) 26-27 წლის უცვლელ ფასებში, ე. ი. გაიზრდება სამჯერ და კიდევ უფრო მეტად.

სატრიკოტაჟო ფაბრიკებმა ბამბეულის ტრიკოტაჟი უნდა გამოუშვან 40 ტონით უფრო მეტი, ვიდრე 1932 წელს (109 ტონა, ნაცვლად 68 ტონისა), რაც იძლევა 60 პროც. ზრდას, და აბრეშუმის ჩულქები 38.000 წყვილით უფრო მეტი (ზრდა 23 პროც.).

საქ. აბრეშუმის სატრიკოტაჟო ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 20.000 წყვილი ბამბის ჩულქი, რომლებიც არ მზადდებოდა 1932 წელს.

ბამბეულის სართავი ფაბრიკა ღებულობს დავალებას გაადიდოს ნართის გამოშვება 79,6 პროც., კონკრეტულად ეს გამოიხატება 340 ტონა პროდუქციის გამოშვებაში, 1932 წელს გამოშვებულ 190 ტონის ნაცვლად.

თბილისის მაუდის ფაბრიკამ, რომელმაც 1932 წელი დაამთავრა დიდი გარღვევით, მუშაობის ხარისხის თვალსაჩინოთ გაუმჯობესების ხარჯზე პროდუქციის მოცულობა უნდა გაადიდოს 23,3 პროც., ანუ უნდა გამოუშვას 980 ათასი მეტრი შალის ქსოვილი, ნაცვლად 1932 წელს დამზადებულ 794 ათასი მეტრისა.

ამ ფაბრიკაში განსაკუთრებით უნდა გადიდდეს მაუდის ქსოვილების გამოშვება: 264 ათას მეტრიდან 333 ათას მეტრამდე, ანუ 26 პროც., აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში 1933 წლის გეგმა ჩვენ დავაპროექტეთ 1,856 ათასი მეტრის რაოდენობით.

ტყავის მრეწველობაში მისთვის გამოყოფილ ნედლეულის კონტინგენტების მიხედვით 1933 წელს საერთო პროდუქცია შეადგენს 3.440 ათას მანეთს, ნაცვლად 3.390 ათასი მანეთისა 1932 წელს.

სატყეო მრეწველობის საწარმოებში — ფანერის ქარხნის და ავეჯის ფაბრიკის ხაზით — ჩვენ მიერ დაპროექტებულია საერთო პროდუქციის ზრდა 27,2 პროცენტით; ამასთანავე შრომის ნაყოფიერების ზრდა 13,6 პროც., ხოლო წლიური ხელფასის — 11,8 პროც.

თბილისის კვების მრეწველობის (გარდა ხორცის მრეწველობისა) საერთო პროდუქცია გაპროექტებულია 28,6 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც 1932 წლის პროდუქციასთან — 16,9 მილიონ მანეთთან შედარებით იძლევა ზრდას 68,7 პროცენტით. კვების მრეწველობის ძირითად საწარმოების მიხედვით კი ჩვენ დავაპროექტეთ საერთო პროდუქციის შემდეგი ციფრები.

თამბაქოს მრეწველობაში დასახულია პროგრამა 1.900.000 ათასი მოსაწევი ერთეულის რაოდენობით თვითეული ფაბრიკისათვის, ანუ სულ 380.000 ათასი მოსაწევი ერთეულის რაოდენობით, ნაცვლად 2.584.000 ათასი ერთეულისა.

თბილსოფმრეწვის პროდუქცია ჩვენ მიერ დაპროექტებულია 52,6 პროცენტის გადიდებით, მაკარონის (89,4 პროც.), და კარამელის ფაბრიკების (№ 1—53 პროც., № 2—75 პროც.), პროდუქციის ძლიერი ზრდის ხარჯზე.

საპნის სახარშ წარმოებაში დასახულია პროდუქციის გადიდება 87 პროცენტით. ნავარაუდევია 2.600 ტონა სამეურნეო საპნის დამზადება, ამასთანავე ქარხნის საწარმოო სიმძლავრე გამოყენებულ უნდა იქნას მთელი 100 პროცენტით.

თბილისის საბჭოს მრეწველობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საამშენებლო მასალათა მრეწველობის საწარმოებს — აგურის ქარხნებს, კრამიტის წარმოებას ქვის კარიერებს, გაჯის და კირის წარმოებას;

ამ საწარმოების ხაზით ჩვენ დასახული გვაქვს შემდეგი პროგრამა:

აგური (6 ქარხანაში)	17.800,0 ათ. ც.
კრამიტი	2.300,0 ათ. ც.
გაჯი	7.000 ტონა
კირი	3.000 ტონა
ფანჯრის ჩარჩოები	5.660 ცალი.
კარების ჩარჩოები	2.800 ცალი

თბილისის საამშენებლო მასალათა ტრესტის ხაზით პროდუქციის გადიდება 51,8 პროც., 1932 წლის ფაქტიურ პროდუქციასთან შედარებით დაპროექტებულია საწარმოების ნედლი მასალით, სათბობით და დამხმარე მასალებით მომარაგების გაუმჯობესების ხარჯზე, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე წარმოების პროცესების ნაწილობრივ მექანიზაციის, სამუშაოზე გასვლის პროცენტის გადიდების, მუშა-ხელის უკეთ განაწილების, სამუშაო დღის შემჭიდროების, გაუპიროვნების და გათანაბრების ლიკვიდაციის შედეგად.

შრომის ნაყოფიერება

1933 წელში ჩვენ ვითვალისწინებთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას 19,4 პროც. რაზე ვამყარებთ ჩვენ შრომის ნაყოფიერების ამ გადიდებას? უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, **იმ რთული მოწყობილობის უკეთესად ათვისებაზე, რომელიც დაიდგა უკანასკნელ წლებში ჩვენს საწარმოებში.**

ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში ცეკას იანვრის პლენუმზე ამბობდა, რომ ენტუზიაზმი, ახალი მშენებლობის პათოსი ეხლა საკმარისი აღარ არის, რომ

„ეხლა ეს საქმე უნდა შევავსოთ ახალი ქარხნების და ახალი ტეხნიკის **ათვისების** ენტუზიაზმით, პათოსით, შრომის ნაყოფიერების სერიოზული გადიდებით, თვითღირებულების სერიოზული შემცირებით.

ეს არის ეხლა მთავარი.

ჩვენ თბილისში არ გვაქვს პირველი ხუთწლედის ისეთი გიგანტები, როგორიცაა მაგნიტოსტროი, კუზნასი, დნეპროჰესი და სხ. მაგრამ თბილისის მრეწველობის მასშტაბითაც ცოტა არ არის ისეთი ობიექტები, რომელთა მიმართაც ამხ. სტალინის მითითება ახალი ტეხნიკის ათვისების შესახებ აუცილებლად თბილისის ორგანიზაციის ცენტრალურ ამოცანად უნდა გადაიქცეს. და პირველ რიგში ეს ამოცანა უნდა დაისვას ჩვენი ლითონის დამამუშავებელი, საფეიქრო, სამკერვალო და მთელ რიგ სხვა საწარმოების წინაშე.

ამასთან ერთად, შრომის ნაყოფიერების გადიდებას ჩვენ უნდა მივაღწიოთ **საწარმოებში შრომის უკეთესად მოწესრიგების საფუძველზე, ამისათვის კი საჭიროა სამუშაოზე გამოსვლის გაუმჯობესება, გაცდენების სავსებით აღმოფხვრა, მუშათა დენადობის მოსპობა და შრომის დისციპლინის გამტკიცება.**

გვაქვს რა ისეთი მძლავრი საშუალება წარმოების დეზორგანიზატორებთან საბრძოლველად, როგორიც არის დეკრეტი გაცდენებთან ბრძოლის შესახებ, ჩვენ, ბუნებრივად, არ შეგვიძლია დიდხანს მოვითმინოთ 1932 წელში არსებული მდგომარეობა, როდესაც 1931 წელთან შედარებით ჩვენ გვქონდა გაცდენების ზრდა 32,7 პროცენტით.

შრომის ხელფასი

წლიური გამომუშავების გადიდებამ ზემოაღნიშნულ მომენტების ხარჯზე უნდა გამოიწვიოს საშუალო წლიური ხელფასის ზრდა თვითეულ მუშაზე 7,2 პროც. საკადრო მუშების ხელფასის ფონდის 14,6 პროც. გადიდებასთან ერთად.

მაგრამ საშუალო დღიური ხელფასის გადიდება მთელს მრეწველობაში გათვალისწინებულია არა უმეტეს 3 პროც., რამდენადაც შარშან ადგილი ჰქონდა ხელფასის არანორმალურ გადიდებას, რამაც გამოიწვია გათანაბრება; აუცილებელია ეხლა ამ მდგომარეობის გამოსწორება.

წლიური ხელფასის ზრდისათვის კი ძირითადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სამუშაოზე გამოსვლის გადიდებას, გაცდენების ლიკვიდაციას.

ლითონის მრეწველობის საწარმოებში ჩვენ დაახლოვებით გამოვდივართ აუცილებლობიდან სამუშაოზე გამოსვლა 237 დღიდან გადიდებული იქნეს 255 დღემდე წელიწადში.

ლითონის მრეწველობის იმავე საწარმოებში წლიური ხელფასის გადიდებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ საწარმოებში მათი უფრო რთულ მოწყობილობის დამზადებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უნდა გაიზარდოს მუშათა კვალიფიკაცია.

თვითღირებულების დაკლება

ყველა ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად ჩვენ უნდა მივაღწიოთ მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სათანადოთ შემცირებას.

კონკრეტულად, ჩვენი საკონტროლო ციფრების თანახმად ჩვენ ვითვალისწინებთ თვითღირებულების დაკლებას მძიმე მრეწველობაში 8,6 პროც., მათ რიცხვში ლითონის დამამუშავებელ წარმოებებში 4 პროც.

თბილსოფმრეწვის ხაზით ეს შემცირება უნდა გამოიხატოს საშუალოდ 5 პროც. საშენებელ მასალათა მრეწველობაში 3,5 პროც. და სხვ.

მსუბუქი მრეწველობის ცალკე საწარმოებში, მათი სპეციფიური პირობების მიხედვით, ჩვენ ვითვალისწინებთ თვითღირებულების დაკლების სხვადასხვა დონეს.

ასე, მაგალითად, ფეხსაცმელების მრეწველობაში ჩვენ ვითვალისწინებთ თვითღირებულების დაკლებას 3 პროც., მატყლის წარმოებაში — 4 პროც., სამკერვალო მრეწველობაში, მაგალითად, მხოლოდ 0,9 პროც.

როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ისე თვითღირებულების დაკლებას აუცილებლად თან უნდა სდევდეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

რიცხვობრივ მაჩვენებლებისადმი გამოდევნება პროდუქციის ხარისხის ხარჯზე, ძირშივე აღკვეთილი უნდა იქნეს.

სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა

ეხლა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვით თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ერთ დარგზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში და საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს მრეწველობის საერთო პროდუქციაში. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი სარეწაო კოოპერაციის მუშაობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ეხლა, როდესაც პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდას.

ეჭვს გარეშეა, ამ დარგში სარეწაო კოოპერაციის წინაშე პატარა ამოცანა არ არის დასმული; მან არადეფიციტური ნედლეულის გამოყენებით, შინამრეწველურ-სარეწაო წარმოების ახალი სახეების მოწყობით უნდა გაადიდოს ფართო მოხმარების საქონლის საერთო მასა.

ამისდამიხედვით, სარეწაო კოოპერაციის მრეწველობის 1933 წლის საკონტროლო ციფრები შედგენილია იმ ვარაუდით, რომ მისი საერთო პროდუქციის ზრდასთან ერთად შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს ფართო მოხმარების საგნების მაღალი ხვედრითი წონა ამ პროდუქციაში.

მთელი 1932 წლის განმავლობაში თბილისის სარეწაო კოოპერაციის საწარმოების საერთო პროდუქცია გამოიხატა 36.138 ათას მანეთში.

წინააღმდეგ ამ ციფრებისა, 1933 წელში გათვალისწინებულია 41,100 ათას მანეთის საერთო პროდუქცია, ე. ი. ზრდა უდრის 13,7 პროც.

41.100 ათას მანეთის საერთო პროდუქციიდან ფართო მოხმარების საქონელზე მოდის 33.400 ათასი მანეთი, რაც შეადგენს თბილისის სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა საერთო პროდუქციის 82,5 პროც.

როგორც სახელმწიფო მრეწველობის დარგშიც, ისე აქაც ჩვენ ვითვალისწინებთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას 7,5 პროცენტით და თვითღირებულების დაკლებას 4,5 პროც.

კაპიტალური დაბანდება კი სარეწაო კოოპერაციის ხაზით გათვალისწინებულია 665 ათას მანეთის რაოდენობით.

თბილისის ორგანიზაციის ამოცანები

ასეთია, ამხანაგებო, თბილისის მრეწველობის საკონტროლო ციფრების ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ჩვენ გამოგვაქვს განსახილველად თბილისის კომიტეტის პლენუმზე.

ბუნებრივია, რომ ამ საკონტროლო ციფრების განხორციელება დამოკიდებული იქნება როგორც ჩვენი სამეურნეო, ისე პროფკავშირული ორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე, როგორც ოპერატიულ, ისე მომწესრიგებელ და მგეგმავ ორგანოების მოქნილ მუშაობაზე, როგორც საბჭოთა, ისე განსაკუთრებით პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე.

ჩემს მოხსენებაში მე უფრო დაწვრილებით შევჩერდი ჩვენი მუშაობის შედეგებზე 32 წელში განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ გამემახვილებია თქვენი ყურადღება დეფექტებზე, რომლებიც ჩვენ გვქონდა და, რომლებიც კიდევ არ არის აღმოფხვრილი, რათა დამეკავშირებია ისინი ჩვენი მუშაობის პროგრამასთან 33 წელში, რომ არ დაუშვათ მათი განმეორება.

როგორია ის კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს 33 წლის საკონტროლო ციფრების წარმატებით განხორციელება?

პირველ ყოვლისა ჩვენ **აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქმით, მთლიანად განვახორციელოთ ამხ. სტალინის 6 მითითება**, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების ყველა რგოლებში უკეთ დავნერგოთ ჩვენი პარტიის ბელადის მიერ გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული გამარჯვების 6 პირობა.

ამ მითითებათა აუცილებელი რეალიზაცია წარმოადგენს მეორე ხუთწლედის პირველი წლის პროგრამის ბოლშევიკური განხორციელების აუცილებელ პირობას.

მიმდინარე წლის ცენტრალურ ამოცანად უნდა გახდეს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ნამდვილი გადიდებისათვის, იმ ანგარიშით, რომ ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საგეგმო დავალებათა განხორციელება როგორც რიცხვობრივი მაჩვენებლების, ისე განსაკუთრებით ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ (თვითღირებულების შემცირებით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და სხვ.).

საქ. კ.პ. (ბ) ცკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმი ეხება რა მეორე ხუთწლედში მრეწველობის დარგში ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს, ხაზს უსვამს, რომ

„მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა პროდუქციის რიცხვობრივ გადიდებას, არამედ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში".

კონკრეტულად აყალიბებს რა 33 წელში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს, ცკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

„წინადადებას აძლევს ყველა სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს 33 წელში მთავარი ყურადღება მიაქციონ შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების დავალებების მთლიანად შესრულებას, რომელთა განხორციელების დონე პირველ ყოვლისა მიღებული იქნება მხედველობაში მუშაობის შეფასების დროს".

იანვრის პლენუმის ეს მითითებანი აუცილებლად უნდა იქნას განხორციელებული, მათი რეალიზაციის ირგვლივ უნდა დავრაზმოთ ჩვენი საწარმოების, ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშათა მთელი მასები, მუშა ქალები და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალები.

როგორც მე უკვე აღვნიშნე, შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანა აყენებს ახალი ტეხნიკის, უკეთ ათვისების ამოცანას, იმ რთულ მოწყობილობათა ათვისების ამოცანას, რომელიც გვაქვს ჩვენს საწარმოებში და, რომლებიც ჩვენ მიერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული. ხოლო ეს ნიშნავს, რომ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, ტეხპროპაგანდის დანერგვისა და ფართოდ გაშლის, ტეხნიკური დანორმვის საქმის სათანადოდ დაყენების ღონისძიებათა გატარება უნდა დაისვას ჩვენი საწარმოების სამეთაურების ყურადღების ცენტრში.

ტეხნიკური დანორმვა წარმოადგენს წარმოების რაციონალიზაციის საფუძველს. სწორი ტეხნიკური დანორმვა ხელს უწყობს მოწყობილობათა უკეთ გამოყენებას და ქმნის რეალურ წინაპირობებს შინასაქარხნო დაგეგმვისათვის. ეს კი წარმოადგენს ამოცანას, რომელიც მიმდინარე წელს უნდა გადასჭრას თბილისის ორგანიზაციამ.

ყველა ის ღონისძიებები, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, უნდა ისახავდეს ერთ მიზანს—**ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.**

ეს ნიშნავს ბრძოლას **გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის** განსაკუთრებით ჩვენს ლითონის დამამუშავებელ საწარმოებში, ნიშნავს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება გამომუშავებული ასორტიმენტის გაუმჯობესების ხარჯზე, განსაკუთრებით ისეთი ნაწარმის, როგორიცაა თამბაქოს, აბრეშუმის ქსოვილის, მაუდ-კამვოლის და სხვ. ნაწარმოები.

ჩვენი ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება ნიშნავს **ფართო მოხმარების საგნების სისტემატიურ ზრდას** ამგვარად, რომ ეს მუშაობა არ ატარებდეს „კამპანიურ" ხასიათს, არამედ განმტკიცებულ იქნას საქმით და წაიწიოს წინ.

ამასთან ერთად ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების საუკეთესო მაჩვენებელს უნდა წარმოადგენდეს მაჩვენებლები რომლებიც ჩვენ უნდა გვქონდეს **თვითღირებულების შემცირების მხრივ.**

ნედლი მასალისა და სათბობის ფაქტიური წარმოების ხარჯვის შემცირების უზრუნველყოფა, ნედლი მასალის, სათბობის და მასალების ნარჩენების მთლიანად გამოყენება უტილსაამქროების მოწყობის გზით ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად, მოწყობილობათა უკეთ დატვირთვა, შინაგანი რესურსების მობილიზაცია და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ უმნიშვნელოვანესი დავალების განხორციელება თვითღირებულების შემცირების და ამასთან დაკავშირებით ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ზევით მე აღვნიშნე თუ როგორი მდგომარეობა გვქონდა ჩვენ ხელფასის მხრივ, როდესაც მრეწველობის თითქმის ყველა დარგებში ხელფასის დონე აღემატებოდა გეგმის ვარაუდებს და როდესაც ამის შედეგად ადგილი ჰქონდა ხელფასის და შრომის ნაყოფიერების შეუფარდებლობას.

ხელფასის საგეგმო ვარაუდების გადაჭარბება ბუნებრივად იწვევს ხელფასის ფონდების გადახარჯვას.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა 33 წელში ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია და არც მოვითმენთ.

თვითეულმა სამეურნეო მუშაკმა, თვითეულმა ქვედა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა პროფორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამას და **გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ ხელფასის ფონდით დაწესებულ ლიმიტების დარღვევის ცდების წინააღმდეგ;** ამ შემთხვევაში ისინი უნდა დაეყრდნონ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას ამ საკითხზე.

შევეხე რა 33 წლის საკონტროლო ციფრებს, მე მოვიყვანე კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა, რომლის დახარჯვა განზრახულია 33 წელში თბილისის მრეწველობის ხაზით.

მიმდინარე წლის მშენებლობის ფარგლები თბილისში გაცილებით უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე გასულ წელს იყო.

ეს გარემოება ჩვენს წინაშე აყენებს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას—**მაქსიმალურად შესაძლებელი ეკონომია დავიცვათ როგორც მშენებლობის ვადებში ისე საშენებელ მასალის ხარჯვაში და ამით უზრუნველვყოთ გამოყოფილი საშუალებების თავის დროზე ათვისება და თვით მშენებლობის გაიაფება;** ამავე დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საშენებელ მასალათა მრეწველობას.

ადგილობრივ საშენებელ მასალათა წარმოების გაფართოებისა და გაიაფების შესახებ ამასწინად გამოქვეყნდა საკავშირო სახკომსაბჭოს მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლის ყველა მუხლების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ჩვენს მიერ.

ეს დადგენილება ითვალისწინებს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებების გატარებას მშენებლობის გასაიაფებლად, საშენებელ მასალის წარმოების მოსაწესრიგებლად თვითღირებულების შესამცირებლად, გადაზიდვის გასაიაფებლად და ერთიანი ხელმძღვანელობის დასაწესებლად ადგილობრივ აღმასკომების სახით.

თბილისის საბჭომ საქართველოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად უნდა დაამუშაოს ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა სისტემა.

ბუნებრივია, რომ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების უკეთესად შესრულებისათვის ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საკონტროლო ციფრების დაყვანა არა მარტო თვითეულ საწარმომდე, ფაბრიკამდე და ქარხნამდე, არამედ თვითეულ საამქრომდე, ბრიგადამდე, აგრეგატამდე, თვითეულ მუშამდე და მუშა-ქალამდე.

სხვანაირად, რომ ვსთქვათ, საკონტროლო ციფრები უნდა გახდეს მშრომელთა ფართო მასების საკუთრებად.

ამიტომ ჩვენს წინაშე ისმება ამ საკონტროლო ციფრების მუშების, მუშა-ქალების, ინჟინერ-ტეხნიკურ მუშაკების და ცალკე საწარმოების მოსამსახურეთა ფართო საერთო კრებებზე დაუყოვნებლივ დამუშავების ამოცანა; ეს საკონტროლო ციფრები დაუყოვნებლივ დამუშავებულ უნდა იქნას არა მარტო საერთო საქარხნო საწარმოო თათბირებზე, არამედ განსაკუთრებით საამქროებში, ბრიგადებში და აგრეგატებზე.

მთელი ეს მუშაობა უნდა დაუკავშიროთ საკოლხელშეკრულებო კამპანიას, რომელიც ეხლა ტარდება. წარმოების მოცულობის საკითხები, საწარმოო-საფინანსო გეგმების ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორც მაგალითად, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების დაკლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ხელფასის და მუშათა და ინჟ.-ტეხნიკურ მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობების გაუმჯობესება, ყველა ეს საკითხები განხილული უნდა იქნეს კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს.

იგივე საკითხები აქტუალურად განხილული უნდა იქნეს საკონტროლო ციფრების საწარმოებში დამუშავების დროს, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივა შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმების შემუშავების, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის—შრომის ნაყოფიერების გადიდების ამ ძირითადი ბერკეტის შემდგომი გაშლა და ჩვენი მუშაობის დანარჩენი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

1933 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების ამოცანები გვავალებს **ჩვენ მივაღწიოთ შრომის უკეთეს ორგანიზაციას, გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ გაცდენებთან და ზარმაცებთან დაუზოგავად ვებრძოლოთ სოციალისტური საკუთრების განიავებას.**

ჩვენ უნდა მივაღწიოთ მუშა-ხელის დენადობის აუცილებელ ლიკვიდაციას, რასაც ადგილი ჰქონდა თბილისის მთელ რიგ მსხვილ წარმოებებში, როგორც, მაგალითად, მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში, სამკერვალო ფაბრიკებში და სხვაგან; ამისათვის უნდა გავატაროთ ღონისძიებები ხელფასის გათანაბრების აღმოსაფხვრელად.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ დენადობის აღმოფხვრას, უნდა გახდეს **მუშათა მომარაგების საქმის გაუმჯობესება,** როგორც თვითდამზადებათა ორგანიზაციის ხაზით, ისე საკუთარი სასურსათო ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების და სხვ. ხაზით.

აქ დამსწრე მუშაკებმა საწარმოებიდან იციან, რომ უკანასკნელ დროს თბილისის კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას უშუალო ხელმძღვანელობით საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა ცალკე საწარმოების საგარეუბნო მეურნეობების შესაქმნელად.

ამ წარმოების ინიციატივაზე და სამეურნეო თვითმოქმედებაზეა დამოკიდებული მუშაობის შემდგომი წარმატება ამ მიმართულებით.

როგორც ხელფასის გათანაბრების ლიკვიდაციის, ისე მუშათა მომარაგების გაუმჯობესების დარგში უშუალოდ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა სდგას **ჩვენი პროფკავშირების წინაშე,** რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ გარდაუქმნიათ მუშაობა და რომლებიც დროა უკვე მჭიდროდ დაუახლოვდნენ ამ საკითხებს.

მე მგონია არავინ უარყოფს იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი გასაკეთებელი გაცდენების და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების ლიკვიდაციის დარგში. იანვრის პლენუმზე ამხ. სტალინი ამბობდა:

„ზოგიერთმა ამხანაგებმა თეზისი კლასების მოსპობის, უკლასო საზოგადოების შექმნის და სახელმწიფოს გაქრობის შესახებ გაიგეს როგორც სიზარმაცის გამართლება, კლასობრივი ბრძოლის ჩაქრობის და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტების კონტრ-რევოლუციონური თეორიის გამართლება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ხალხს არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს ჩვენს პარტიასთან. ეს გადაგვარებული ხალხია, ან კიდევ თვალთმაქცებია, რომლებიც უნდა გავაძევოთ პარტიიდან. კლასების მოსპობა შეიძლება არა კლასობრივი ბრძოლის ჩაქრობით, არამედ მისი გაძლიერებით".

და შემდეგ:

„მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერის ზრდა გააძლიერებს მომაკვდავ კლასების უკანასკნელ ნარჩენების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და უკანასკნელ დღეებს განიცდიან, ისინი თავდასხმის ერთი ფორმიდან გადადიან მეორე, უფრო მკვეთრ ფორმებზე, მიმართავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და რაზმავენ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

ამხ. სტალინის ეს მითითებები ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ; უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე კლასობრივი მტრის მიმართ, რომელიც ტკბილი ფრაზებით ფარავს თავის კონტრ-რევოლუციონურ ანტისაბჭოთა ბუნებას. კლასობრივი მტერი ფარულად, ნიღაბ აფარებულად მოქმედობს, ის ცდილობს ჩაშალოს სოციალისტური მშენებლობის საქმე. ამ კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, კლასობრივი მტრების დამარღვეველი მუშაობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სწორედ საზოგადოებრივი საკუთრების დატაცება და გაფლანგვა, გაცდენები. დაუზოგავი ბრძოლა გაცდენებთან, საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების და გაფლანგვების გადაჭრით აღმოფხვრა, კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერება კლასიური მტრის მიმართ ჩვენი ქვედა პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იქნას დაყენებული.

ამხანაგებო, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს თვითეული პარტორგანიზაცია სათავეში მოექცეს და ბოლშევიკურად დარაზმოს მშრომელთა ფართო მასების შრომითი ენთუზიაზმი და შემოქმედებითი ინიციატივა მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში.

ამის მიღწევა ჩვენ შეგვიძლია, **თუ სათანადოთ გარდავქმნით ჩვენს მუშაობას და მუშაობის სიმძიმის ცენტრს** გადავიტანთ საამქროში, ბრიგადაში, განვამტკიცებთ ჩვენს საშუალო რგოლს.

აუცილებელია მივაღწიოთ მთელი ჩვენი საორგანიზაციო-პარტიული, მასიურ სააგიტაციო და აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ გარდაქმნას, რომელიც საქმით იქნება დაკავშირებული საწარმოო-საფინანსო გეგმის ბოლშევიკურად შესრულების ამოცანებთან სოციალისტური მშენებლობის ამა თუ იმ კონკრეტულ უბანზე, რომელიც უზრუნველჰყოფს ნამდვილ ბოლშევიკურ ტემპებს და მუშაობის ხარისხს ამა თუ იმ წარმოებაში მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

უზრუნველყოფილი იქნას თვითეული ჩვენი პარტიული რგოლის წამყვანი როლი, უზრუნველყოფილი იქნას თვითეული პარტიულის და კომკავშირელის ნამდვილად ავანგარდული როლი წარმოებაში, შრომის ფრონტზე მებრძოლთა პირველ რიგებში დგომა. სოციალისტური შრომის ახალი ფორმების დანერგვა კუდში ჩანჩალი კი არა, არამედ მასების ნამდვილად ხელმძღვანელობა და მათი ახალ-ახალ გამარჯვებებისაკენ წაყვანა, რევოლუციონური კლასიური სიფხიზლის გაძლიერება, კლასობრივი მტრის და პარტიაში მისი აგენტურის მემარჯვენე უკლონისტების გამოსვლების დაუზოგავად მხილება და აღკვეთა ასეთია კონკრეტული ამოცანები რომლებიც სდგას ეხლანდელ ეტაპზე თვითეული პარტორგანიზაციის, პარტიის თვითეული წევრის წინაშე.

ამ ამოცანების განხორციელებაში პარტიის უახლოესი თანაშემწე იქნება კომკავშირი.

ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებზე, სადეპუტატო ჯგუფებზე, ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომელთა ყურადღებაც მიმართული უნდა იქნეს ცენტრალურ ამოცანისაკენ—უკლასო საზოგადოების აშენების ხუთწლედის პირველი წლის საბრძოლო პროგრამის ბოლშევიკურად შესრულებისაკენ.

ამასთანავე აუცილებელია **უფრო გადაჭრით დავაწინაუროთ ახალი კადრები ხელმძღვანელ [illegible] და სამუშაოზე, გავაძლიეროთ დამკვრელის როლი წარმოებაში, მივაღწიოთ სოციალისტური მშენებლობის მოწინავეთა დამკვრელი მუშაობის საუკეთესო ნიმუშების სხვებისათვის გაზიარებას.**

პარტიამ გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ლენინური გენერალური ხაზის—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის თანმიმდევრობით განხორციელების შედეგად.

პარტიამ ამ წარმატებებს მიაღწია კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის განადგურებით, გადამწყვეტ ბრძოლაში მემარჯვენე უკლონისტებთან, მთავარი საშიშროების ამ მატარებლებთან, „მემარცხენე" ნახტომებთან და პარტიის ხაზის ყოველგვარ დამახინჯებასთან.

თავისი სიფხიზლის გაძლიერებით, ასეთივე გადამწყვეტი ბრძოლით პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯების ყოველგვარ ცდებთან თბილისის ორგანიზაციამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით თან უნდა წაიყვანოს მშრომელთა ფართო მასები 1933 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

12 წელი გავიდა, ამხანაგებო, მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშათა კლასმა ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისროლა საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიები-მენშევიკები და მათი დამქაშები.

შემოქმედებითი მუშაობის ამ წლების განმავლობაში თბილისის მუშათა კლასმა, რომელიც ამაგრებდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო სიძლიერეს, გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ყოველგვარ დამახინჯებებთან, საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების აზერბეიჯანის და სომხეთის მთელ მუშათა კლასთან ერთად გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის განვითარების დარგში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, სოციალისტური მშენებლობის პირველი დამკვრელის, ჩვენი პარტიის და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მეთაურობით, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ცკას ხელმძღვანელობით თბილისის ორგანიზაცია მომავალშიაც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგომება და ბოლშევიკურად იბრძოლებს მეორე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის (ტაში).

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 56.

ციისათვის გადამწყვეტი ბრძოლის საფუძველზე.

2. დაწესდეს შრომის ნაყოფიერების ზრდა სახელმწიფო მრეწველობაში 1932 წლის წლიურ ზრდასთან შედარებით 19,4 პროცენტით, მათ შორის: მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—7,8 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—7,5 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—18,6 პროცენტით, კვების მრეწველობის ხაზით—38,8 პროცენტით (მარგარინის წარმოების გამოკლებით) და თბილისის საბჭოს მრეწველობის ხაზით—33,7 პროცენტით.

3. ვინაიდან შრომის ნაყოფიერების გამოანგარიშების არსებული მეთოდი ვერ უზრუნველყოფს მისი ზრდის ნამდვილი დინამიკის მთლიანად გამოაშკარავებას ცალკე საწარმოებში, პლენუმი ავალებს თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიას, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და მომარაგების სახალხო კომისარიატთან ერთად, ცდის სახით, მოაწყონ 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში, კამვოლ-მაუდის ფაბრიკასა და თამბაქოს ფაბრიკა № 1-ში შრომის ნაყოფიერების აღრიცხვა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული დროის რაოდენობის მიხედვით (კაცსაათებში).

აღნიშნული მიზნით გამოყენებულ იქნას ამ მხრივ სტალინის სახელობის საორთქლმავლო-სარემონტო ქარხანაში უკვე არსებული გამოცდილება.

მუშათა რაოდენობა და ხელფასი

1. განისაზღვროს თბილისის სახელმწიფო მრეწველობის კადრის მუშების რიცხვი 11.800 კაცით, ე. ი. გადიდდეს იგი 12,1 პროცენტით 1932 წელთან შედარებით.

2. პლენუმი ავალებს თბილისის კომიტეტის ბიუროს შეიმუშაოს ღონისძიებათა სისტემა კვალიფიციური მუშა ხელის მოსამზადებლად თბილისის მრეწველობისათვის. ამასთან ერთად პლენუმი ავალებს თბილისის კომიტეტის ბიუროს უზრუნველყოს სამეურნეო მუშაკთა კლუბის მოწყობა მიმდინარე წელს.

3. დაწესდეს შრომის ხელფასის ზრდა 1932 წლის საშუალო-წლიურ ხელფასთან შედარებით კადრის მუშებისათვის 7,8 პროცენტით, ამასთან:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობაში—7,3 პროცენტით;

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობაში—6,4 პროცენტით;

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობაში—11,6 პროცენტით;

თბილისის საბჭოს მრეწველობაში—4,7 პროცენტით და კვების მრეწველობაში—4,5 პროცენტით.

4. ამასთან შეფარდებით განისაზღვროს მრეწველობის კადრის მუშების ხელფასის წლიური ფონდი 17.080 ათასი მანეთით, 1932 წლის არსებული 14,143 ათასი მანეთის ნაცვლად.

თვითღირებულების შემცირება

1. პლენუმი თბილისის მთელი პარტორგანიზაციის წინაშე საბრძოლო ამოცანად სახავს თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით, ძალების სწორად განაწილებას, ნედლეულის და სათბობის ფაქტიური ხარჯების შემცირებას, ნედლეულის, მასალის და სათბობის ნარჩენების გამოყენებას, უტილსაამქროების მოწყობას და საამქროებში ფართო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებას, ამასთან ყველა ამ ღონისძიებათა გატარებას საფუძვლად უნდა დაედოს სამეურნეო ანგარიშის უსიტყვოდ დანერგვა როგორც საწარმოში მთლიანად, ისე ცალკე საამქროებსა და ბრიგადებში.

2. ხელმძღვანელობს რა ამ ძირითადი დებულებებით, პლენუმი წინადადებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას 1933 წლის თვითღირებულების შემცირება მრეწველობის ცალკე დარგებში შემდეგი რაოდენობით:

ა) მძიმე მრეწველობის საწარმოებში—8,9 პროცენტით; აქედან: 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში—4,8 პროცენტით; ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში—3,1 პროცენტით; კალინინის სახელობის ქარხანაში 52%; ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში—3,5 პროცენტით სპილენძის საჭედ ქარხანაში—2,0 პროცენტით;

ბ) მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, აბრეშუმის საქსოვი და აბრეშუმ-ტრიკოტაჟის ფაბრიკების და ტყავის ქარხნების გამოკლებით, სადაც, ნედლეულის გაძვირების გამო, ადგილი აქვს თვითღირებულების ერთგვარ გადიდებას, უზრუნველყოფილ იქნას თვითღირებულების შემცირება 1,7 პროცენტით, აქედან კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში—3,0 პროცენტით, ფეხსაცმელის ფაბრიკებში—6,1 პროცენტით და სამკერვალო ფაბრიკებში—1,3 პროცენტით

სარეწაო კოოპერაციის მრეწველობაში

1. თბილისის სარეწაო კოოპერაციის საბრძოლო ამოცანად თბილისის კომიტეტს მიაჩნია სამუშაოთა შემდგომი გაშლა სხვა და ახალი სახის სარეწაო წარმ. შესაქმნელად არადეფიციტური ნედლეულის გამოყენების ბაზაზე, და ფართო მოხმარების საგნების საერთო სასაქონლო მასის გადიდება.

2. ამასთან შეფარდებით დამტკიცდეს თბილისის სარეწაო კოოპერაციის საწარმოო პროგრამა (1932 წლის 1 ივლისისათვის არსებულ ფასებში ბრუნვაზე დადებულ გადასახადის გარეშე) 41.100 ათასი მანეთის რაოდენობით 1932 წლის 36.138. ათასი მანეთის ნაცვლად, ე. ი. უნდა გაიზარდოს 13,7 პროც., აქედან ფართო მოხმარების საქონლის ხაზით დაწესდეს პროგრამა 34.000 ათასი მანეთის რაოდენობით ან თბილისის სარეწაო კოოპერაციის მრეწველობის მთელი საერთო პროდუქციის 82,5 პროც. მოცულობით.

3. უზრუნველყოფილ იქნას სარეწაო კოოპერაციის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდება 7,5 პროც. და თვითღირებულების შემცირება 4,5 პროც.

4. კაპიტალური დაბანდების მოცულობა სარეწაო კოოპერაციის ხაზით განისაზღვროს 665 ათასი მანეთის რაოდენობით.

* * *

მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების და ძირეული რეკონსტრუქციის ამოცანები, რომლებიც საქ. კ.პ. (ბ) ცკას იანვრის პლენუმმა დასახა, მოითხოვენ პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების და მშრომელთა ფართო მასების ძალების და ყურადღების მაქსიმალურ მობილიზაციას მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების ბოლშევიკური შესრულებისათვის საბრძოლველად. თბილისის მრეწველობის 1933 წლისათვის მიღებული საკონტროლო ციფრების უსათუოდ შესრულება უნდა წარმოადგენდეს თბილისის მთელი ორგანიზაციის, ყოველი ძირეული პარტიული ორგანიზაციის, ყოველი საწარმოს ქარხნის, ფაბრიკის ყოველი კომუნისტის და კომკავშირელის, ყოველი დამკვრელის— წარმოების მოწინავე ელემენტის, თბილისის ყველა მუშების და საინჟინერო-ტეხნიკური ძალების ცენტრალურ ამოცანას.

პლენუმი თბილისის ყველა პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე სახავს შემდეგ ამოცანებს:

1. ყოველი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას საფუძვლად დაედვას ბრძოლა გეგმების შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას, ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმოების ხარჯების შემცირებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის, და ამ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფილ იქნას ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების გადაჭრით გატარების გზით.

სამეურნეო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მთავარი ყურადღების მიქცევა, შრომის ნაყოფიერების აწევის და თვითღირებულების შემცირების ხაზით მოცემულ დავალებათა მთლიანად შესრულებაზე, რომელთა განხორციელების დონე პირველ რიგში იქნება მიღებული ყოველი საწარმოს და ტრესტის მუშაობის შეფასების დროს" (საქ. კ.პ. (ბ) ცკას და ც.ს. კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის რეზოლიუციიდან).

2. ყოველი საწარმოს წარმოების პირობებთან შეფარდებით შემუშავდეს ღონისძიებანი ტეხნიკის დასაუფლებლად და საწარმოში არსებული მოწყობილობის უკეთ გამოსაყენებლად, ამასთან ძირითადი ყურადღება მიექცეს ტეხნიკური ნორმირებას და შინასაქარხნო დაგეგმვის გაუმჯობესებას.

3. უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საფინანსო გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაყვანა ყოველ საწარმომდე, საამქრომდე, ბრიგადამდე, აგრეგატებამდე და დაზგამდე, აგრეთვე ყოველ მუშამდე და მუშა-ქალამდე, ამასთან დაუკავშირდეს ეს მუშაობა საკოლხელშეკრულებო კამპანიის ჩატარებას და შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმების შედგენას ადგილებზე.

4. უზრუნველყოფილ იქნას შრომის სოციალისტური ფორმების შემდგომი გაშლა, ამასთან ჩაბმულ იქნან სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში გამოუკლებლივ ყველა კომუნისტები და კომკავშირელები, გაძლიერდეს დამკვრელის გამძღოლი როლი წარმოებაში და გადამწყვეტი ბრძოლა-გამოცხადდეს ცრუ დამკვრელობის ყოველგვარ გამოხატულებას.

5. გაძლიერდეს ბრძოლა წარმოების დეზორგანიზატორების—გამცდენები, ზარმაცები, მოხეტიალენი და სოციალისტური საკუთრების დამტაცებელნი და უფრო გამახვილდეს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების და მუშათა მასების კლასობრივი სიფხიზლე, კლასობრივი მტრების გამოსვლების წინააღმდეგ, რომელიც მიმართავს ფარულ და ენერგიულ მუშაობის მეთოდებს

6. მიღწეულ იქნას მუშათა მომარაგების გადაჭრით გაუმჯობესება თვითდამზადების განვითარების და განსაკუთრებით საკუთარი სასურსათო ბაზების საგარეუბნო მეურნეობანი კოლმეურნეობანი, დამხმარე საწარმონი—საკურდღლეები, სალორეები და სხვ.) განვითარების გზით, ამავე დროს გაძლიერდეს ბრძოლა მუშათა მომარაგების ფონდების განიავებასთან.

* * *

პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ ამოცანების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ სათანადოდ გარდაიქმნება პარტიული ორგანიზაციების მუშაობა და უზრუნველყოფილი იქნება ხელმძღვანელობის კონკრეტულობა წარმოების ყველა უბანზე.

თბილისის ორგანიზაცია კიდევ უფრო გააძლიერებს თავის კლასობრივ სიფხიზლეს, გადაჭრით აღკვეთს კლასობრივი მტრის ცდებს აწარმოოს თავისი დამანგრეველი მუშაობა, წარმართავს წინადაც ცეცხლს მემარჯვენე გადახრის, ამ მთავარი საფრთხის წინააღმდეგ. გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევს „მემარცხენე" ნახტომებს და პარტიის ხაზის ყოველგვარ გამრუდებას და ამგვარად, საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას და საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, გაიყოლიებს მშრომელთა ფართო მასებს მეორე ხუთწლედის, უკლასო საზოგადოების აშენების ხუთწლედის, პირველი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმების ბოლშევიკური შესრულებისათვის პარტიის და მუშათა კლასის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ყველა მითითებათა განხორციელების გზით.

წითელი არმიის 15 წელი

ამხ. კ. ვოროშილოვის მოხსენება *)

VI. ტეხნიკა და ადამიანები

როცა ლაპარაკობ გაუმჯობესებულ, თანამედროვე და, ამასთანავე რაოდენობის მხრივ საკმაოდ მრავალრიცხოვან ტეხნიკაზე, რომლითაც წითელი არმიის ნამდვილად უზრუნველყოფა დაიწყო ხუთწლედის მანძილზე გიგანტურად გაზრდილმა სოციალისტურმა ინდუსტრიამ, დაუყოვნებლივ ისმება კითხვა, ვის ხელში მიდის ეს ტეხნიკა.

თავისთავად ტეხნიკა ხომ მკვდარია იგი ეფექტს იძლევა მხოლოდ ადამიანის ხელში და სწორედ იმ ეფექტს, რომლის მიღება მისგან სურს და შეუძლიან მანქანასთან დაყენებულ ადამიანს.

ხუთწლედის წლები, როგორც უკვე აღვნიშნე, იყო წითელი არმიის რეკონსტრუქციის, მისი თანამედროვე საბრძოლო ტეხნიკური საშუალებებით შეიარაღების წლები. ამ დარგში ჩვენ უაღრესად ჩამორჩენილი ვიყავით და მთელი პროლეტარული სახელმწიფოს ძალებით უნდა მოგვეხდინა ამ დამღუპველი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებდით ადამიანს—ჩვენს მებრძოლს, მეთაურს და პოლიტმუშაკს, არ ვივიწყებდით, რომ ეს ადამიანი უნდა იყოს სოციალიზმის საქმის აბსოლუტურად საიმედო დამცველი და რომ მან უნდა ისწავლოს იმ ტეხნიკის დაუფლება, რომელსაც იგი ღებულობს.

ეს საკითხი ჩვენთვის იყო, არის და მუდამ იქნება გადამწყვეტი და უმთავრესი. ჩვენ შეიძლება გვქონდეს ბევრი საუკეთესო იარაღი, მაგრამ თუ არ გვეყოლება საკუთარი ნამდვილი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც შესდგება პროლეტარულ რევოლუციისადმი ერთგულ, პოლიტიკურად მტკიცედ მომზადებულ, თავისი საქმის მცოდნე მეთაურებისა და მებრძოლებისაგან, მტერი წაგვართმევს ჩვენ ამ იარაღს, არავითარი ტეხნიკა არ გვიშველის და ვერ დაიცავს ჩვენს დიად ქვეყანას.

როგორია ამჟამად მუშურ-გლეხური წითელი არმიის პირადი შემადგენლობა? დავიწყებ სოციალური შემადგენლობიდან:

1921 წელს არმიაში იყო: მუშა—18 პროცენტი, გლეხი—71 პროც. და დანარჩენი 11 პროცენტი. 1928 წელს იყო მუშა—21 პროც., გლეხი—67 პროც. და დანარჩენი—12 პროც. 1933 წელს ჩვენ უკვე გვყავს მუშა—43 პროც., გლეხი—47 პროც. და დანარჩენი—10 პროც., 72 პროცენტი ყველა გლეხებისა, რომელნიც ჯარში იმყოფებიან, უკვე არის არა წინანდელი გლეხობა, არამედ სოციალისტური სოფლის შვილები—კოლმეურნეები. თქვენ ხედავთ, რომ 1928 წლიდან 1933 წლამდე მუშურ-გლეხური წითელი არმიის სოციალურ შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოხდა.

რით აიხსნება ეს ცვლილებები? ნუ იფიქრებთ, რომ აქ არის ხელოვნური ღონისძიებანი ჩვენის მხრივ. მართალია, ჩვენ საკმაოდ სერიოზულად ვადევნებთ თვალყურს იმას, რომ ჩვენ რიგებში შემოვიდნენ ყველაზე უფრო რევოლუციური, ჩვენი საქმისადმი ყველაზე უფრო ერთგული ელემენტები, რომ წითელარმიაში არ შემოძვრეს კულაკი, შავსოტნელი, მაგრამ ეს ჩვენი საჭირო ღონისძიებები მთავარი როდია. მთავარია ის, რომ იცვლება ჩვენი სახელმწიფოს სახე. ხუთწლედის განმავლობაში მუშათა კლასი რიცხვობრივად ერთი-ორად გაიზარდა, გლეხობის ორი მესამედი კოლმეურნეობებში გაერთიანდა. არმიის სოციალური შემადგენლობის უაღრესად გაუმჯობესების მთავარი მიზეზია: სოციალისტური მშენებლობის წარმატება, ადამიანთა ახალი საზოგადოების აქტიურ მშენებელთა, სოციალიზმის მშენებელთა ყოველდღიური რიცხვობრივი ზრდა (ტაში).

არა ნაკლებ რადიკალურად შეიცვალა მუშურ-გლეხური წითელი არმიის პარტიულ კომკავშირული შემადგენლობა. 1922 წელს ჩვენ ჯარში გვყავდა პარტიულთა მხოლოდ 7 პროცენტი, 1928 წელს—პარტიულთა 12,8 პროც. და კომკავშირელთა 14,5 პროც., 1933 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაში ჩვენ გვყავს პარტიის წევრები და კანდიდატები 35 პროც. და კომკავშირლების 24 პროც., ე. ი. სულ მთელი პირადი შემადგენლობის 59 პროც.

ამგვარად, კომუნისტების და კომკავშირლების რიცხვი არმიაში დღეს უკვე აღემატება მისი მთელი შემადგენლობის ნახევარს, ჩვენი წითელი არმია ბოლშევიკების ნამდვილი არმიაა.

ამხ. სტალინმა მუშურ-გლეხურ წითელ არმიისადმი დღევანდელ მისალმებაში, ამხ. მოლოტოვმა, ამხ. კაგანოვიჩმა და ყველამ, ვინც ჩვენ მოგვესალმა, სავსებით სწორად აღნიშნეს, რომ წითელი არმია არის არა მარტო შეიარაღებული ძალა, რომელიც იცავს სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობას, იგი ამავე დროს არის სერიოზული სკოლა, არა მარტო წერაკითხვის, ტეხნიკის, კულტურის სკოლა, არამედ ამასთანავე პარტიულ-პოლიტიკური სკოლაც.

მე მინდა მოგახსენოთ, როგორ ზრდის არმია ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ყოველწლიურად ავსებს მის რიგებს: 1924 წლის ჯარში გაწვეულებს შორის იყო 10 პროც. კომუნისტი, 1926 წლის კი ორი წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ ჩვენ არმიიდან გამოუშვით 28 პროც. ბოლშევიკები. 1928 წელს ჩვენ მივიღეთ 20 პროც. კომუნისტები, ხოლო 1930 წელს გამოუშვით 40 პროც. 1930 წელს მივიღეთ—27 პროც., ხოლო 1932 წელს გამოუშვით 67 პროც., ბოლშევიკები და, კმაყოფილებით ვსტყვი, და თქვენც ამას დაადასტურებთ, საკმაოდ კარგი ბოლშევიკები.

ჩვენ წითელარმიელებს ვაძლევთ არა მარტო ბოლშევიკურ პოლიტიკურ აღზრდას, არა მარტო სამხედრო საქმეს ვასწავლით მათ. უკვე ათი წელიწადია (1924 წლიდან) არც ერთი წითელარმიელი არ გამოსულა ჩვენი არმიის რიგებიდან წერა-კითხვის უცოდინარი. ჩვენ ვაძლიერებთ მებრძოლთა საერთო საგანმანათლებლო მომზადებას, ვაძლევთ მათ სხვადასხვა ცოდნას, ვასწავლით ტეხნიკას, ვუნერგავთ კულტურულობას, დარაზმულობას, დისციპლინას (არა მარტო სამხედროს), ვანვითარებთ მათში თავის თავზე მუშაობის, ცოდნის შეძენის ხალისს და სურვილს. მე ვიცი ხალხი რომელიც არმიაში მოვიდა წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე, ხოლო არმიიდან წავიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში, გახდნენ მსხვილ გაზეთების კორესპონდენტები და მწერლებიც კი.

მე არა მაქვს დრო იმისათვის, რომ დაწვრილებით მოგიყვეთ, თუ რა უდიდეს მუშაობას ატარებს ყოველ წელს არმიის პარტიულ-პოლიტიკური აპარატი მებრძოლთა მოსამზადებლად სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით. ჩვენ ვამზადებთ შოფერებს, ტრაქტორისტებს, მექანიკოსებს, მეცხოველეებს, კოოპერატორებს, კულტმუშაკებს და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის. ვამზადებთ მეტად დიდი რაოდენობით, არმიიდან ყველა არ გამოდის ასეთ სპეციალისტად, მაგრამ ყოველი შვებული, თითო ოროლა კაცის გამოკლებით, არის საბჭოთა ქვეყნის შეგნებული, აქტიური, ორგანიზებული მოქალაქე, კეთილსინდისიერი მუშაკი, დისციპლინის და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ორგანიზატორი როგორც ქალაქში—ქარხანაში, ისე სოფლად — კოლმეურნეობაში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ყველა ჩვენი ორგანიზაციები ხალისით ღებულობენ სამუშაოზე წითელი არმიიდან დემობილიზებულ მებრძოლთ, ვინაიდან იციან, რომ შეიძლება მათზე დანდობა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ფაბრიკების, ქარხნების და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო დამკვრელნი, წითელი არმიის ყოფილი მებრძოლნი არიან, რომელთაც ჯარში გაიარეს, მართალია, მკაცრი, მაგრამ კარგი, ბოლშევიკური სკოლა.

მოკლედ ვიტყვი ჩვენს მეთაურთა შემადგენლობაზე. როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიარაღებულ ძალების მშენებლობის დასაწყისში ჩვენ ძალზე ღარიბი ვიყავით მეთაურთა შემადგენლობით, მეთაურის პრობლემა იყო ყველაზედ უფრო მძიმე, ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილი მთელ ჩვენს საქმეში. სამაგიეროდ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ჩვენ გვახსოვდა რა წარსულის გაკვეთილები, მოვიკრიბეთ ყველა ძალები, რათა ეს დანაკლისი ერთხელ და სამუდამოდ შეგვევსო, რათა ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაგვეჭრა. დღეს ჩვენ გვყავს სავსებით ჩვენი, პროლეტ. საქმისადმი აბსოლუტურად ერთგული მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება ყოველმხრივ. მის ბირთვს, მის მთავარ მასას წარმოადგენს მეთაური, რომელიც წარმოშვა სამოქალაქო ომმა, რომელიც აღიზარდა ჩვენს სკოლებში, მათი დიდი უმრავლესობა მუშურ-გლეხური წარმოშობისაა, მაგრამ ჩვენ არა მარტო აღვზარდეთ მეთაურთა საკუთარი ახალი გაზრდა კადრები. ჩვენს მეთაურთა ბოლშევიკურ წრეში ჩვენ გავთქვიფეთ ძველი არმიის მთელი რიგი სამხედრო სპეციალისტები, რომელნიც სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე პატიოსნად და კეთილსინდისიერად, არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ ემსახურებიან რევოლუციის საქმეს. არა მარტო სერგეი სერგეის ძე კამენევი, შაპოშნიკოვი, პეტინი, მეჟენინოვი, არამედ აგრეთვე მრავალი სხვა ძველი სპეციალისტი, რომელნიც ჩვენთან მოვიდნენ ჩვენი მტრებს პირველ თოფის ხმაზევე, გახდნენ ჩვენი ამხანაგები—პარტიულები, აი რამდენიმე ციფრი, რომელიც ახასიათებს ჩვენს ძირითად მეთაურთა კადრების სახეს.

ოლქების ჯარების სარდლები 100 პროცენტით ჩვენი პარტიის წევრებია. მსროლელთა კორპუსების მეთაურები 100 პროცენტით პარტიულებია, 33 პროცენტმა დაამთავრა უფროსი შემადგენლობის სამხედრო აკადემია, 67 პროცენტმა — კვალიფიკაციის ამამაღლებელი კურსები (აკადემიის შემოკლე-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.).

---

*) დასაწყისი იხ. „კომ." № 54 და 56.

წითელი არმიის 15 წელი

ამხ. კ. ვოროშილოვის მოხსენება

ზოლი კურსი), ბევრმა ორჯერ. მსროლელთა დივიზიის უფროსები 93 პროც. პარტიულებია, 25 პროცენტმა დაამთავრა აკადემია, 75 პროც., კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

ცხენოსანი დივიზიების მეთაურები 95 პროც. კომუნისტებია. 43 პროცენტმა დაამთავრა აკადემია, დანარჩენებმა — კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მსროლელთა პოლკების მეთაურები—88 პროც. პარტიულებია და 18 პროც. აკადემიკოსები, დანარჩენებმა დაამთავრეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. დაახლოვებით იგივე შეიძლება ითქვას ცხენოსანი პოლკების მეთაურების შესახებ. ბატალიონების მეთაურები—72 პროც., ხოლო საშუალო უფროსი შემადგენლობა — (ასეული, გუნდი)—69 პროც. კომუნისტებია. ავიო-ბრიგადების მეთაურები 78 პროც., ავიო - ესკადრილიებისა—77 პროც. ცალკე ავიორაზმების —85 პროც. კომუნისტებია. ავიაციის საშუალო მეთაურთა შემადგენლობა—74 პროც., კომუნისტებია. საარტილერიო პოლკების მეთაურები—76 პროც. კომუნისტებია და სხვ. ასე და ამგვარად, ისეთი მეთაურები, რომელთაც მათი თანამდებობის მიხედვით არ მიუღიათ ნორმალური სამხედრო განათლება, ან არ გაუვლიათ სათანადო კურსები, მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში თითზედ ჩამოსათვლელია, როგორც გამონაკლისი.

ბევრი ჩვენი მეთაური—ბოლშევიკი გახდა გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტი, სწავლული თეორეტიკოსი. წითელი არმიის მიერ აღზრდილი მეთაურები არა მარტო წარმატებით სარდლობენ ოლქებს, საზღვაო რაიონებს, საჰაერო ძალებს, კორპუსებს, დივიზიებს, საჰაერო და საზღვაო ბრიგადებს, ტანკების ნაწილებს და სხვ., არამედ აგრეთვე სწორედ ისინი და არა ძველი სკოლის ხალხი, შეადგენენ ჩვენი სამხედრო აკადემიების მასწავლებელთა და სამეცნიერო მუშაკთა დიდ უმრავლესობას.

წითელ არმიაში აღზრდილი მეთაური—ბოლშევიკებია აგრეთვე ჩვენი ინჟინრების, კონსტრუქტორების, გამომგონებლების ძირითადი მასა, რომელთა შორის მოიპოვებიან საკმაოდ გამოჩენილი სახელები, რომელნიც არმიას აძლევენ თანამედროვე სამხედრო ტექნიკას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკური სამხედრო კადრების მომზადების საქმეში, ჩვენ უდიდეს, გადამწყვეტ შედეგებს მივაღწიეთ. ამ ჩვენი გამარჯვებიდან, იქედან, რომ მეთაურების და სხვა სამხედრო სპეციალისტების დიდი პროცენტი ჩვენი პარტიის წევრებია, არ უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ჩვენთვის არ არის საჭირო უპარტიო მეთაურები, რომ მათ არა აქვთ ადგილი და პერსპექტივები წითელი არმიის რიგებში. უპარტიონი, რომელთა შედარებით მცირე პროცენტი დარჩა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, აბსოლუტურად ჩვენი ხალხია რომელნიც ზოგჯერ წმინდა შემთხვევითი, ფორმალური მიზეზებით დარჩენ პარტიის რიგების გარეშე. ჩვენ მათ ვენდობით ისევე, როგორც კომუნისტებს, ვაწინაურებთ და მომავალშიაც დავაწინაურებთ სამსახურში კომუნისტებთან თანაბრად მათი დამსახურებების მიხედვით, მუშაობისა და მისი შედეგების მიხედვით.

ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ ვამზადებთ დღეს ჩვენ ჩვენს მეთაურებს. წითელი არმიის მიერ ტექნიკის ათვისებასთან დაკავშირებით, ჩვენ მთავარი ყურადღება მივაქციეთ მეთაურთა შემადგენლობის და სპეციალისტების მომზადებას ჯარის ტექნიკური ნაწილებისათვის. ეს მეთაურები და სპეციალისტები ჩვენ მეთაურთა საერთო მასაში შეადგენენ ნახევარზე გაცილებით უფრო მეტს. ტექნიკურ ჯარების სამხედრო სკოლების კურსანტები 1921 წელს შეადგენდენ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე კურსანტების საერთო რაოდენობის 11 პროცენტს, 1928 წელს 31,8 პროც., ხოლო 1933 წელს 63,5 პროც., ე. ი. სამხედრო ტექნიკური სკოლების ხვედრითი წონა ჩვენს სამხედრო სკოლებში თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.

კოლოსალური ფრონტები, მრავალმილიონიანი არმიები, სხვადასხვა დანიშნულების მრავალრიცხოვანი ტექნიკა უაღრესად ართულებენ თანამედროვე ომის, თანამედროვე ბრძოლის ხელმძღვანელობას. იმისათვის, რომ სწორად მოხერხებულად და ორგანიზებულად დაეუფლო ამ გიგანტურ მექანიზმს, საჭიროა საქმის მაღალ-კვალიფიციური ოსტატები, ფართო მომზადებით, დიდი ცოდნით. არანაკლებ საჭიროა აგრეთვე ადამიანები, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი სამხედრო—ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური განათლება, ამ ოსტატებს ვამზადებთ ჩვენს აკადემიებში. არმიის რეკონსტრუქციამ, რომელმაც უაღრესად გააძლიერა მოთხოვნილება უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე მეთაურებზე, გვაიძულა ჩვენ წინად არსებულ სამხედრო საზღვაო, საჰაერო და სამხედრო-პოლიტიკურ და სხვ. აკადემიებისათვის მიგვემატებინა კიდევ რამდენიმე აკადემია და ძველს აკადემიებში გაგვედიდებინა მსმენელთა რიცხვი. ამჟამად ჩვენ აკადემიებში ვასწავლით რამდენჯერმე უფრო მეტ მეთაურებს, ვიდრე ვასწავლიდით 1921 წელს, უფრო მეტს, ვიდრე ვასწავლიდით 1928 წელს—ხუთწლედის დასაწყისში. ამავე დროს, ზრდა უმთავრესად ხდება ტექნიკური ჯარების მაღალ-კვალიფიკაციის მქონე მეთაურების და სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა დარგების ინჟინერ-სპეციალისტების მომზადების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ჩვენს სკოლებში და აკადემიებში ჩვენ არა თუ ვამზადებთ უფრო მეტ ხალხს, ვიდრე წინედ, ჩვენ მათ აგრეთვე ვასწავლით გაცილებით უკეთ, ვიდრე ვასწავლიდით წინად, და არა მარტო ვასწავლით მათი სპეციალობის მიხედვით, არამედ აგრეთვე ვაძლევთ დიდ მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას, ვაქცევთ მათ მტკიცე ბოლშევიკურ მებრძოლებად.

ჩვენი მეთაურის მომზადება სკოლების, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსების, ან აკადემიის კედლებით არ განისაზღვრება. თვითეული ჩვენი მეთაური და პოლიტმუშაკი, იმყოფება რა ნაწილში, სამუშაოზე, ასწავლის რა სხვებს, თვითონაც განუწყვეტლივ მონაწილეობას იღებს როგორც მოსწავლე სხვადასხვა ტაქტიკურ, სპეციალურ, პოლიტიკურ და სხვ. მეცადინეობებში, არც ერთ დღეს არ არის იგი უმოქმედოდ. სკოლაში თუ ჯარში იგი ვალდებულია სისტემატიურად იზრდებოდეს, ვითარდებოდეს. ამას მოითხოვს ცხოვრება. რომელიც წინ მიდის, მოითხოვს სამხედრო საქმის განუწყვეტლივ განვითარება. მოითხოვს პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესები, რომელსაც სჭირდება მაქსიმალურად საიმედო და მტკიცე შეიარაღებული თავდაცვა. ვიმეორებ ჩვენ გვყავს ბოლშევიკური, თავისი სპეციალობის მცოდნე კადრი შემადგენლობა. მე არ ვიტყვი, რომ იგი უკვე მომზადებულია, ისე როგორც ჩვენ გვინდა, როგორც ეს საჭიროა ეს ტრაბახობა იქნებოდა. ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ არა ვართ საკმაოდ მომზადებულნი, მაგრამ ჩვენს შორის ყველაზედ უფრო განსწავლულნიც კი განუწყვეტლივ და ენერგიულად უნდა მუშაობდნენ თავის თავზე. უამისოთ ისინი ხვალ ჩამორჩებიან. და არა მარტო თეორიულად უნდა მუშაობდნენ კაბინეტში, არამედ აგრეთვე არ უნდა გასწყვიტონ კავშირი ცოცხალ პრაქტიკასთან, ცოცხალ საქმესთან. ჩვენი მუშაობა, სამხედრო ხალხის მუშაობა თავისებურია ჩვენ უფრო ნაკლებად ვიდრე სხვა რომელიმე სპეციალისტს შეგვიძლიან ვიყვეთ ცხოვრებისაგან დაშორებული ადამიანები. ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვაკავშირებდეთ მეცნიერებას პირდაპირ, ცოცხალ საქმესთან.

მუშურ-გლეხური წითელი არმია ძლიერია არა მარტო იმით, რომ მას ჰყავს ერთგული და სამხედრო ცოდნის მქონე მეთაურთა შემადგენლობა, ჩვენი არმია ძლიერია არა მარტო იმით, რომ მას აქვს კარგი, ხოლო ხვალ ექნება საუკეთესო შეიარაღება. მუშურ-გლეხური წითელი არმია ძლიერია თავისი სულით, თავისი ტრადიციებით, თავისი კომუნისტური ერთსულოვნობით. მის რიგებში არიან ასი ათასობით კომუნისტები და კომკავშირელები პარტიის ხვალინდელი წევრები. ამ ჩვენს მძლავრ პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალის ძირითად ბირთვს წარმოადგენს, ხელმძღვანელობს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გამობრძმედილი ბოლშევიკური პოლიტაპარატი—ჩვენი დიადი პარტიის ერთ ერთი საუკეთესო ქმნილება. ეს პოლიტაპარატი, რომელმაც ითამაშა ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილი როლი კლასობრივ მტრებზე გამარჯვებაში, აკაჟებს ჩვენს წითელ არმიელთა რიგებს და უდიდეს დახმარებას უწევს სარდლობას მთელს მუშაობაში, მთელ ჩვენს ღონისძიებებში.

იყო დრო სამოქალაქო ომშიაც და ჩვენი შეიარაღებული ძალების მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიაც, როცა მეთაურთა შემადგენლობასა და პოლიტაპარატს შორის აქა-იქ ადგილი ჰქონდა გაუგებრობას, უთანხმოებას. იყო შემთხვევა, როცა მეთაურთა შემადგენლობა არა საკმაოდ აფასებდა პარტიის პოლიტაპარატის როლს არმიაში, სათანადოთ ვერ უთანხმებდა მუშაობას პოლიტმუშაკებს. იყო შემთხვევები, რომ ცალკე პოლიტმუშაკებს არა სწორად ჰქონდათ გაგებული თავიანთი დანიშნულება, თავიანთი ადგილი, ისინი ვერ იჩენდნენ უნარს მოეგვარებინათ ურთი-[illegible] მუშაობა მეთაურებთან. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, სულ რამდენიმე წლის წინად, ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა უსიამოვნებას, ყოველივე ეს ეხლა უკვე წარსულს ჩაბარდა. მეთაურთა შემადგენლობა პარტიულად პოლიტიკურად გაიზარდა და განმტკიცდა, აგრეთვე პოლიტაპარატი სამხედრო მომზადების მხრივ სულ სხვაგვარი გახდა. და, ბოლოს, როგორც მეთაურებმა, ისე პოლიტაპარატის მუშაკებმა ისწავლეს ჩვენი საერთო საქმის ერთად, შეთანხმებულად კეთება. ბევრი ძველი საუკეთესო პოლიტმუშაკი გახდა მეთაური, მთელი რიგი მეთაურები ჩვენ გადავიყვანეთ პოლიტსამუშაოზე. ამჟამად ჩვენ სახელოვან მებრძოლთა მასას საუკეთესოდ ხელმძღვანელობს, ზრდის, ასწავლის მტკიცე, ბოლშევიკური, მუშაობაში შეთანხმებული, მჭიდრო შეკავშირებული მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობა. დღეს ჩვენ გვყავს სოციალიზმის საქმისადმი ერთგული არმია, არმია, რომელიც ენერგიულად და წარმატებით მუშაობს იმისათვის, რომ გახდეს იმ იარაღის ღირსი, რომელსაც გვაძლევს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია, რათა გაამართლოს ჩვენი ქვეყნების მიერ მესზედ გაწეული უდიდესი ხარჯები.

წითელი არმია აკეთებს ყველაფერს, რათა გახდეს ღირსი იმ დიადი ამოცანისა, რომელიც მის წინაშე დასახა მუშათა კლასმა, ყველა მშრომელებმა. ჩვენმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა და წითელი არმიის მეგობარმა ამხ. სტალინმა. ეს ამოცანაა სოციალიზმის მშენებელი სახელმწიფოს დაცვა ყოველ მიზეზს გარეშე და ყოველგვარ პირობებში.

ჩვენი არმია ამ ამოცანას დაძლევს. ყოველი მეთაური, ყოველი პოლიტმუშაკი თვითეული მებრძოლი დღისა და ღამის ყოველწუთში მზად არის შეასრულოს თავისი მუშურ-გლეხური მთავრობის ყოველი ბრძანება. პატარა შემოწმება მოკლე ხნით ჩვენ უკვე გვქონდა 1929 წელს შორეულ აღმოსავლეთში. მართალია გამოცდა სუსტი იყო, „მასწავლებლები“ არ აღმოჩნდნენ ღირსნი თავიანთ „მოწაფეებისა“. ეს გამოცდა ჩვენ ჩავაბარეთ ადვილად, ძალების დაჭიმვის გარეშე, მაგრამ ჩავაბარეთ როგორც ნამდვილმა ბოლშევიკებმა. ამჟამად ჩვენ გაცილებით უფრო ძლიერნი ვართ, ვიდრე 1929 წელს.

მას შემდეგ ხომ გავიდა მთელი ხუთწლედი, და [illegible] არ უნდა იყვეს ინიციატორი ახალი ომისა. რომელიც ჩვენ არ გვინდა და ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ და მომავალშიაც მთელი ჩვენი ძალღონით ვეცდებით ამას. ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დახმარებით, არმია, რომელსაც თავის რეზერვად ჰყავს მრავალი მილიონიანი თავდაცვა-ავიოქიმი და სამოქალაქო ომის მრავალრიცხოვანი გმირები, ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, საუკეთესო ლენინელის ამხ. სტალინის (ტაში) მეთაურობით, მუშურ-გლეხური მთავრობის და ამხ. მოლოტოვის (ტაში) მეთაურობით საკადრის პასუხს გასცემს ომის ყოველ პროვოკატორს, დაიცავს სოციალიზმის მშენებელი დიადი ხალხის საქმეს.

(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).

საქმით ვიბრძოლებთ პარტიის გენერალური ხაზისათვის

სტალინის სახ. თბილისის სარემონტო ქარხნის დამკვრელთა და ინჟ.-ტექნიკოსთა შეკრების დეპეშა საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

შენი უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით, ჩვენმა ქარხანამ, რომელიც ამჟამად ატარებს დიდი მასწავლებლის და პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის სახელს, გამარჯვებით დაასრულა პირველი ხუთწლედი და გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის უკანასკნელი დამამთავრებელი წლის გეგმა.

სარემონტო ქარხნის მუშებმა და მათმა ხელმძღვანელობამ—ბოლშევიკების ათასხუთასიან რაზმმა, რომლებიც წარმოადგენენ ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას განსაკუთრებულ ხელმძღვანელობის ერთგულ დასაყრდენს, უდიდესი ენერგიით მოამზადეს ხელი 1933 წლის დიად ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის ისტორიულ პლენუმის მიერ. ჩვენ ვიმუშავებთ ისეთივე ოპერატიულობით, სიზუსტით და საქმიანობით, როგორითაც არის გამსჭვალული ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მუშაობა უკანასკნელ ხანებში. ჩვენ ვპირდებით სრულ დახმარებას სამხარეო კომიტეტს და ცეკას ნავთისათვის, ბამბისათვის და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამაგალითოდ გატარებისათვის ბრძოლაში და ავამაღლებთ სარემონტო ქარხნის ხელმძღვანელ როლს თბილისის და საქართველოს მთელს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ მთელი ძალ-ღონეს მოვახმართ იმას, რომ არამც თუ დავსძლიოთ ტემპები 1933 წელში, არამედ სარემონტო ქარხნის მუშათა მთელი კოლექტივი აღტკინებული ბოლშევიკური პათოსით სავსებით აღმოფხვრის ყოველგვარ დეფექტებს ჩვენს მუშაობაში და მთლიანად შეასრულებს გეგმის ყველა ხარისხობრივ მაჩვენებლებს, გზათა სახ. კომისარიატის, რკინისგზელთა ცეკას და გაზ. „გუდოკ“-ის საკავშირო გარდამავალი დროშის შენარჩუნებით.

ჩვენ მომავალშიაც შენი დახმარებით და ხელმძღვანელობით არა სიტყვით, არამედ საქმით ვიბრძოლებთ პარტიის გენერალური ხაზისათვის და შენი კონკრეტული და ოპერატიული მაგალითის მიხედვით გიჩვენებთ ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობის მაღალ ნიმუშებს.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და მის ხელმძღვანელ ამხ. ბერიას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დამკვრელ ბრიგადის პირველ ბრიგადირს ამხ. სტალინს!

სტალინის სახ. თბილისის სარემონტო ქარხნის დამკვრელთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შეკრება.

ამხარეო თათბირი გლეხთა სახლების მუშაობის შესახებ

თათბირმა პირველად მოისმინა საქ. ცენტრალური გლეხთა სახლის მუშაობის შესახებ ამხ. ბახტაძის მოხსენება.—ჩვენ რაიონული გლეხთა სახლების კადრებით გამაგრების მიზნით—განაცხადა ამხ. ბახტაძემ—მოვაწყვეთ სპეციალური გადასაწვდელი კურსები 17 კაცისათვის, მაგრამ როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ შევნიშნეთ ამ 17 კაციდან გლეხთა სახლებში მხოლოდ რამდენიმე მუშაობს. სხვები ადგილობრივ ორგანიზაციებს მობილიზაციის წესით გაუწვევიათ სხვა სამუშაოზე.

ცენტრალურ გლეხთა სახლში მოსულ კოლმეურნეებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს შორის ტარდება მასიურ-კულტურული მუშაობა, მოწყობილია მუზეუმი და სასოფლო-სამეურნეო შრომის ცალკე საკითხების შესახებ გამოფენა. ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები. აგროტექნიკურ პროპაგანდასა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე აგრონომების საუბრები, მუშა პირუტყვის წესიერი მოვლისა და დატვირთვის შესახებ—ლექციები და სხვ.

სახლთან არსებობს კლუბი, სადაც ყოველ საღამოს ეწყობა მასიურ კულტურული გასართობები აჩვენებენ კინო-სურათებს და სხვ. გასული წლის 15 ოქტომბერს მიწსახკომთან შეთანხმებით გლეხთა სახლთან მოეწყო საკონსულტაციო ბიურო აგროტექნიკური პროპაგანდის გატარების, ტეხნიკური კულტურების მოვლის, თესლის შეწამვლის და საგაზაფხულო თესვის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხების შესახებ. საკონსულტაციო ბიურო უზრუნველყოფილი არაა სათანადო კვალიფიციური კადრებით.

გლეხთა სახლს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მიღების შესახებ შედგენილი აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს, როგორც რაიონებში ბრიგადების გაგზავნას თესვასთან დაკავშირებით, ისე ჩამოსულ კოლმეურნეებთან და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნე გლეხებთან სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გლეხთა სახლი საერთო ბიუჯეტიდან კულტურულ-მასიურ მუშაობის გაშლისათვის ძალიან მცირე ხაწილი იხარჯება. ეს გამოწვეულია იმით., რომ ძალზე გადატვირთულია სახლის აპარატი. მუშაობაში ნაკლებათ არიან ჩაბმული კომუნისტები და კომკავშირლები. სულ აპარატში 6 კომუნისტი და 7 კომკავშირელი მუშაობს.

შემდეგ მოსმენილი იქნა სომხეთის ცენტრალურ გლეხთა სახლის გამგეობის წარმომადგენლის ამხ. ეგაზარიანის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ—ცენტრალურ გლეხთა სახლს მხოლოდ 49 ოთახი უჭირავს 180 საწოლით. **ბინის უქონლობის გამო იგი ვერ უწევს საჭირო მომსახურებას ქალაქში ჩამოსულ კოლმეურნეებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს.**

გლეხთა სახლის გამგეობამ უკვე გაშალა მუშაობა საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით. მოწყობილია სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო, საღამოობით ეწყობა ლექციები და მოხსენებები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ცალკეულ საკითხებზე. სახელდობრ სომხეთის მიწსახკომთან ერთად გლეხთა სახლს მოწყობილი აქვს აგროტეხნიკური და ზოოტეხნიკური კონსულტაცია, სადაც საჭირო ცნობებს ღებულობენ სოფლებიდან ქალაქში ჩამოსული კოლმეურნეები და მშრომელი ინდივიდუალურ მეურნე გლეხები.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური გამგეობა ვერ იბრძვის ყველა რაიონებში გლეხთა სახლების მოწყობისათვის. იგი აერთიანებს მხოლოდ 10 რაიონულ გლეხთა სახლს. რომელთა კადრებით განმტკიცების მიზნით გასულ წელში მომზადებული იქნა 35 კოლმეურნე.

აზერბეიჯანის ცენტრალურ გლეხთა სახლის გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. თაფთოხლიმ—განაცხადა, რომ ცენტრალურ გლეხთა სახლში, ბაქოში, მოწყობილია გამოფენა მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის განვითარების, მუშა-საქონლის მოვლის, თესლის გადარჩევის და სხვა საკითხებზე. გლეხთა სახლთან მოწყობილია პირველი დახმარების პუნქტი, სამხედრო და ლენინის კუთხე ჩამოყალიბებულია უმეცრობა?? [illegible]. წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო და სხვ. საზოგადოებები დაქირავებულია სპეციალისტი ვეტერინარი, რომელიც ატარებს საუბრებს და მოხსენებებს საქონლის მოვლისა და მკურნალობის საკითხებზე. საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით დამატებით დაქირავებულია 5 ვეტერინარი და აგროტეხნიკოსები, რომლებიც ქალაქში ჩამოსულ კოლმეურნეებთან და ინდივიდუალურ მეურნე გლეხებთან ატარებენ საუბრებს სას.-სამ. კამპანიის ცალკე საკითხებზე.

რესპუბლიკების ცენტრალურ გლეხთა სახლების წარმომადგენელთა მოხსენებების შემდეგ, თათბირმა მოისმინა სამხრეთ-ოსეთის გლეხთა სახლის გამგის, აჭარისტანის გლეხთა სახლის გამგის ამხ. სურმანიძის და განჯიდან ამხ. ალიევის მოხსენებები, რის შემდეგ გაიმართა კამათი კამათში გამოვიდნენ: სომხეთის ცაკიდან ამხ. ხამბულციანი, აზერბეიჯანის ცაკიდან ამხ. შარიფოვი და სხვ. დასასრულ გლეხთა სახლების მუშაობის ამოცანებზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბონდარენკომ.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

ამხ. ანთიძე საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე

8 მარტს დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი.

დღის წესრიგის ძირითად საკითხად პლენუმზე იდგა: პროფკავშირების მონაწილეობა მეოთხე ბოლშევიკური გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში და საკოლხელშეკრულებო კამპანია.

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში პროფკავშირების ამოცანების შესახებ პლენუმზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა კულტგანყოფილების გამგე ამხ. გეგენავა. საგაზაფხულო თესვისათვის სამზადისში ზოგიერთმა პროფორგანიზაციებმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. პროფსაბჭოსთან არსებულმა საშეფო ბიურომ გაგზავნა სოფლად 135 სარემონტო ბრიგადა. 13 რაიონში ჩამოყალიბებულია მასიური კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებელი კურსები. ეს კურსები უკვე დაამთავრა 4.600 კოლმეურნემ. ფინმუშაკთა კავშირმა გაგზავნა რაიონებში საანგარიშო დარგის 120 მუშაკი, რომლებიც უკვე შეუდგნენ საწარმოო-საჩვენებელი ანგარიშწარმოების დაყენებას 128 კოლმეურნეობაში.

მიუხედავად ამისა, პროფკავშირების საერთო მონაწილეობა თესვისათვის სამზადისში ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. პროფკავშირებმა ვერ შესძლეს მუშაობის საბრძოლო ტემპების უზრუნველყოფა გაზაფხულის წარმატებით სამზადისის ყველა უბნებზე.

პროფსაბჭოს პლენუმმა [illegible] მონაწილეობა თესვისათვის სამზადისში. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პროფორგანიზაციები კმაყოფილდებიან სარემონტო და საგიტაციო ბრიგადების გაგზავნით სოფლად და არასაკმაო ყურადღებას უთმობენ ძირითად ამოცანას—კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას. შრომის დისციპლინის და მეურნეობის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ ბრძოლას.

1933 წლის საკოლხელშეკრულებო კამპანიის და პროფკავშირების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მალსაგოვი.

პლენუმმა მოხსენების ირგვლივ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიაც ჩამოთვლილია კონკრეტული ღონისძიებები საკოლხელშეკრულებო კამპანიის ჩასატარებლად.

დასასრულ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ამხ. ანთიძე, საქ. პროფსაბჭოს პასუხისმგებელ მდივნად ამხ. ხორბალაძე. (ადს).

კ. მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღნიშვნის გამო

განსახკომის კოლეგიის დადგენილება

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია, გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ მეცნიერული კომუნიზმისა და პროლეტარიატის იდეოლოგიის საფუძვლემდებლის, მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონური მოძრაობის პირველი უდიდესი თეორეტიკოსის და ორგანიზატორის— კ. მარქსის, გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღნიშვნამ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მოსწავლეების, მასწავლებლების და მშრომელთა ფართო მასების მიერ მარქსიზმ - ლენინიზმის შესწავლისა და მათ კომუნისტურად აღზრდის საქმეში,— ადგენს:

1. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში და კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებში 10—15 მარტის რიცხვებში აღინიშნოს კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავი — ლექციების და მოხსენებების მოწყობით მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების გაერთიანებულ კრებებზე. მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი რევოლუციონური როლი გაშუქებული უნდა იქნეს მისი მეცნიერული სისწორის ურყევად დამადასტურებელი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მაგალითზე, სადაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძველზე ლენინური ც. კ. და ამხ. სტალინის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, პირველი ხუთწლედის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ შეუდგა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებას.

მარქსიზმ - ლენინიზმის მეცნიერული თეორიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის რევოლუციონური პრაქტიკის ბოლშევიკური ერთიანობა და მის საფუძველზე მიღწეული უდიდესი შედეგები სოციალიზმის შენების ყველა დარგში დაუპირისპირდეს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისს და რღვევას, ფაშიზმის თარეშს კაპიტალიზმის სამყაროში, საერთაშორისო სოციალ - ფაშიზმს — სოციალ-დემოკრატიის და კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის გამცემლობას, მოღალატეობას, რევოლუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. გაშუქდეს მარქსიზმ - ლენინიზმის უდიდესი რევოლუციონური შემოქმედებითი როლი ფილოსოფიაში, მეცნიერების ყველა დარგში და, კერძოდ, კომუნისტური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში.

ხაზი გაესვას იმ გზას და ბოლშევიკურ სიმტკიცეს, რომლითაც ლენინი და სტალინი ავითარებენ და ახორციელებენ მარქსიზმს და აჰყავთ იგი შემდგომ უფრო მაღალ ეტაპზე.

2. ჩამოყალიბდეს სასწავლებლებში და კულტ-განმანათლებელ დაწესებულებებში მარქსიზმ - ლენინიზმის შემსწავლელი წრეები, მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღნიშვნა საფუძვლად უნდა დაედვას მუშაობის გაძლიერებას მასების მარქსისტულ - ლენინური აღზრდისათვის ბრძოლის გაძლიერებას — ყოველგვარი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

3. სასწავლებლებში და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყოს მარქსიზმ - ლენინიზმის კუთხე — მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწარმოებების, საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონური მოძრაობის ზრდის, და საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის მიღწევების გამომსახველი დიაგრამების, ანგარიშების და კარტოგრამების გამოფენით.

4. სასწავლებლებში და საკულტ - განმანათლებლო დაწესებულებებში კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავის აღნიშვნა ჩატარდეს სწავლების და კულტმუშაობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის, კომუნისტური აღზრდის გაძლიერების, მარქსისტულ - ლენინური პოლიტექნიზმის განხორციელების და კულტურული რევოლუციის ყველა ძირითადი ამოცანის ენერგიული ტემპებით გადაწყვეტის ნიშნით ქვეშ.

5. შესაბამ საგნებში, პროგრამული მუშაობის წესით, გაძლიერდეს მარქსის მოღვაწეობის და მარქსიზმ — ლენინიზმის საკითხების შესწავლა. უმაღლეს სასწავლებლების და ტეხნიკუმების დირექტორებს ევალებათ 15 მარტამდე უზრუნველყონ ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოების გადასინჯვა. დაევალოს სასწავლო - მეთოდურ სექტორს მისცეს ამავე საკითხზე მითითება დაწყებითი და საშუალო სკოლებს.

6. სამეცნიერო და კულტ - განმანათლებელ დაწესებულებათა გამოცემებში და კედლის გაზეთებში გაშუქდეს საკითხები მარქსის მოღვაწეობის და მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი როლის შესახებ მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობაში.

ჟურნალ — „კომუნისტური აღზრდისათვის“-ის მორიგი ნომერი მიძღვნილი იქნას მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავისათვის.

7. წინადადება მიეცეს განათლების განყოფილებებს აარჩიონ რაიონში თითო კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაც [illegible] უნდა მიეკუთვნოს კ. მარქსის სახელი და წარმოადგინონ განსახკომში დასამტკიცებლად.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე **ივ. ვაშაყმაძე.**

კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის

შეიძინეთ კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის თხზულებანი (ქართულ ენაზე)

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიაში

1. მარქსი კ. — **„გოთას პროგრამის კრიტიკა“**. შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის 1875 წლის პროგრამის შესახებ, მ. ტოროშელიძის რედაქციით; თარგმანი გერმანულიდან გ. გამყრელიძის მიერ.
2. ენგელსი ფრ.—**„გლეხთა ომი გერმანიაში“**, ტოროშელიძის რედაქციით, თარგმანი გერმანულიდან გ. ქიქოძის მიერ.
3. მარქსი კ.—**„კაპიტალი“**. ტომი 1. თარგმანი გერმანულიდან დავით ონიაშვილის მიერ, მ. ტოროშელიძის რედაქციით. (გაყიდულია).
4. მარქსი კ.—**„კაპიტალი“** კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა: ტომი მე-3, ნაწ. 1-ლი, მ. ტოროშელიძის რედაქციით. თარგმანი გერმანულიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.
5. მარქსი კ.—**„თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“** მ. ტოროშელიძის რედაქციით, თარგმანი გერმანულიდან გ. გამყრელიძის მიერ.
6. მარქსი კ.—**„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“**. მ. ტოროშელიძის რედაქციით, თარგმანი ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.
7. მარქსი კ.—**„სამოქალაქო ომი საფრანგეთში“**, მ. ტოროშელიძის რედაქციით, თარგმანი გერმანულიდან გ. ქიქოძის მიერ.
8. მარქსი კ.—**„ფილოსოფიის სილატაკე“**, თარგმანი ფრანგულიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, მ. ტოროშელიძის რედაქციით.
9. ფ. ენგელსი — **„ლუდვიგ ფეირბახი“**.
10. ფ. ენგელსი — **„ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“**.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა:

1. მარქსი კ.—**„კაპიტალი“** ტომი მე-2. მ. ტოროშელიძის რედაქციით.—
2. მარქსი კ. და ენგელსი ფრ.—**„მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“**, მ. ტოროშელიძის რედაქციით.
3. ლენინი—**„კარლ მარქსი“**.
4. ფ. ენგელსი — **„14 მარტი 1883 წ.“**), წერილების კრებული).
5. ლენინი—**„მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“**.
6. კ. მარქსი—**„დაქირავებული შრომა და კაპიტალი“**.
7. კ. მარქსი — **„ხელფასი, ფასი და მოგება“**.
8. მარქსი კ.—**„ზედმეტი ღირებულების თეორიები“**, ტ. მე-2. ნაწ. პირველი, კ. იაშვილის. თარგმანი გერმანულიდან, მ. ტოროშელიძის რედაქციით.

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა:

1. მარქსი კ.—**„კაპიტალი“** ტ. მე-3. ნაწ. მე-2, მ. ტოროშელიძის რედაქციით
2. ენგელსი ფრ.—**„ანტიდიურინგი“**, თარგ. გერმანულიდან გ. ქიქოძის მიერ, მ. ტოროშელიძის რედაქციით.
3. მარქსი კ.—**„ზედმეტი ღირებულების თეორიები“**, ტ. 1-ლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბ. კომ. სააღრიცხვო სტატ. განყოფილებაში (ოთახი № 15) ამხ. სიდოროპულოსთან: სერგო პუტნიცევი, გრიგოლ პუხაევი, ვლადიმერ ფხაკაძე, მინა რაზმაძე, ალექსანდრა რემიზოვა, რიზა კიაზიმ-ოღლი, ალექსანდრე როთველაძე, ალექსანდრა როდაკოვა, გალუსტ სააკიანი, სედრაკ სააკიანი, ტრიფონ სალარაძე, მიხეილ საყვირი, ეკატერინა საიჩენკოვა, ივანე სახლხუციშვილი, აკაკი სარვაზიანცი, მირონ სარდაროვი, ლეონ სარიბეკოვი, ერვანდ სარქისოვი, ოვან სარქისოვი, არტავაზ სარქისიანი, არშენაკ სარუხანოვი, მიხეილ სარუხანოვი, ნიკიტა სემეკოვი, აშოტ სეროპიანი, ივანე სიდორენკო, გიორგი სილაძე, იოსებ სირაძე, ვალერიან სიტატაშვილი, გრიგოლ სიხაშვილი, მარო სკიდონენკო, ტიგრან სოგომონიანი, ივანე სოსიანი, მარო სტეპანოვა, სუმბატ სტეპანოვი, არმენაკ სტეპანიანი, არტაშ სულთანოვი, სურენ სუმბატიანი, ერმილე სურმავა, სიმონ ტაბალიკინი, ალექსანდრე ტაბიძე.

10 მარტი 1 აბ. 9 წარმ. **რიგოლეტო**

11 მარტს 4 აბ 9 წარ [illegible] **აიდა**

12 მარტი აბ. 8 წარ. **ქეთო და კოტე**

[illegible] 280

12 მარტი აბონიმ. გარეშე **in tirannos** [illegible]

11 აბ 7 წარ **in tirannos**

14 მარტი 5 აბ. 7 წარ **in tirannos**

[illegible] 278

10 მარტს 1 აბ. 6 წარ. **ხატიჯე**

11 მარტი 4 აბ 6 წარ **ხატიჯე**

12 მარ. აბ. [illegible] **ყვარყვარე თუთაბერი**

[illegible] 279

2 მარტიდან სახ. ინდმრეწვის კინო თეატრები

ოქტომბერი — **კაინი და არტემი**

დამკვრელი — **მოლას მესამე ცოლი**

კინო დარბაზი — [illegible]

[illegible] — **26 კომისარი**

სპარტაკი — [illegible]

[illegible] დამკვრელთან — [illegible]

ოქტომბერი ღილისით — [illegible]

[illegible] — **კაცი მარტოდ დარჩა**

[illegible] — **პატარები და დიდები**

თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა [illegible] 1933 წ. 13 მარტს [illegible] 163

ჩქარა 3 ჭრილით გაჰყიდის [illegible] 78—12 [illegible] 3000 [illegible]

საოპერო თეატრის დარბაზში 11 მარტს დღის სრულ 2 საათზე მასწავლებელთა [illegible] საქალაქო კრება [illegible] **„კარლ მარქსი და ხელოვნება“** მომხსენებელი ა. დუდუჩავა. [illegible] 163

საქართველოს ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო-ტექნიკური ბიურო [illegible] 11 მარტს საღამოს 8 საათზე **საქართველოს [illegible] დიდ დარბაზში [illegible] პროფესორ შარიას მოხსენებას „კ. მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა“** [illegible] 168

ვ. ა. მიქაბერიძე [illegible] 1933 წ. დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი“** [illegible] ტელ 78 15 [illegible] 556

ექიმი ს. ი. ანდრეევა [illegible]

ექიმი [illegible] [illegible]

[illegible] **ვაჟა ჭანიშვილის** [illegible] 10 მარტს [illegible] 5

[illegible] **მაქსიმე გიორგის-ძე დუმბაძის** [illegible] 11 მარტს [illegible] 151

[illegible] **ჯიბგე იოსელიანის** [illegible] 149

[illegible] **არი ტოტლი თომას-ძე ბაბილონ(ის)** [illegible] 2 მარტ, 1 [illegible] 14

[illegible] **მალერიან ალექსანდრეს-ძე ახვლედიანის** [illegible] 166

[illegible] **ფილიპე მგალობლიშვილის** [illegible] 244

[illegible] **ეკატერინე ლორთქიფანიძის** [illegible] 140

[illegible] **ფილიპე [illegible] მგალობლიშვილის** [illegible] 14

[illegible] **დავით ლევანის-ძე ძიგრაშვილის** [illegible] 143

[illegible] **ანდრო (დუშა) მეკუაძის** [illegible] 147

[illegible] **[illegible] იოსელიანის** [illegible] 146

[illegible] **მარიამ (მაკა) ერისთავის** [illegible] 10 მარტს 4 ს. [illegible] 16

[illegible] **მიშა სიმონის-ძე გუნცაძის** [illegible] 15

[illegible] **ფედოსია კოგახიძე (ჯამარიძის)** [illegible] 14

[illegible] **ვალერიან ალექს-ძე ახვლედიანის** [illegible] 165

[illegible] **დათიკო მაღლაფერიძის** [illegible] 140

[illegible] **მიშა სიმონის ძე გუნცაძის** [illegible] 15

[illegible] **ანასტასია კიკოს ას. რატიშვილის** [illegible] 1:0

[illegible] **მიტო ბოხუა) გოშაძის** [illegible] 14 [illegible] 145

[illegible] **რობერტის (ბიჭი)** [illegible] 44

[illegible] **ვერა იოსების ას ჯალაღანიას** [illegible] 153

[illegible] **ქსენია ვლადიმერის ას. კალუგაძის** [illegible] 144

[illegible] **ხილოვან გიოს ძე მუჯირის** [illegible] 1

[illegible] **დომენტი დოლაძის** [illegible] 1

[illegible] **თამარა გიორგის ას. უშვერიძის** [illegible] 11 მარტ [illegible] 2 1:2

[illegible] **თამარა ყუშიტაშვილი-ყაჯაიშვილის** [illegible] 11 მარტ 5 საათზე [illegible] 23 [illegible] 62

[illegible] **არისტო თომას ძე ბაბილონის** [illegible] 61

[illegible] **პატარა კარლოს (ჯაგა)** [illegible] 1:9

[illegible] **ქსენია ხალუხაძის** [illegible] 15

[illegible] **დათიკო ღალღურაძის** [illegible] 58

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქუჩა № 62 მთავლიტის რწმუნებული ა 1391